საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
კვირა
1
მარტი
№ 51
(17993)
ფასი 2 კაპ.

ნობათები—ყრილობას

შენთვის, ჩემო სამშობლო!

ცხინვალის რაიონი. („კომუნისტის“ საკ-კორ. გ. თედეევი). თავდადებული შრომის შედეგად ერიდვის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად ივალდებულეს გადაჭარბებით შეესრულებინათ სახელმწიფოსთვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ორი თვის დავალება. პირუტყვის სანიმუშო მოვლა-პატრონობის შედეგად მათ შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას მიაღწიეს, უკვე შესრულდა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ორი თვის დავალება. სახელმწიფოს გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 100 ცენტნერით მეტი რძე მიეყიდა. სულ კი ორ თვეში 100 ტონის ნაცვლად მიეყიდა 110 ტონა რძე. ხორცის მიყიდვის ორი თვის დავალებაც განაღდებულია, 9 ტონის ნაცვლად 20 თებერვლისათვის მიყიდულია 12 ტონა ხორცი.

საყრილობო შრომითს ვახტზე განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეცხოველეობის პირველი ბრიგადის წევრებმა (ბრიგადირი — ნ. მჭედლიძე), ზამირა, თამარ, ზაირა თუაევები შრომის საუკეთესო მაგალითს უჩვენებენ. ახლინ წველადობის წლიური გეგმის შესრულებას დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის ვარაუდობენ.

ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის დაბა ნია-გრუზინსკაიას მშენებელთა კოლექტივმა წარმატებით შეასრულა ვალდებულება, რომელიც სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისთვის იკისრა. საექსპლოატაციოდ გადაეცა დაბის ასამოქმედებელი კომბინატის პირველი რიგი. საქართველოდან წარგზავნილმა ბამეტელებმა გადაწყვეტეს დაბის მშენებლობა ვადამდე — მშენებლის დღის — 9 აგვისტოსათვის შეასრულონ. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა „საქბამშენის“ უფროსმა ა. დვალიშვილმა.

საინფორმაციო ცნობა

28 თებერვალს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი გ. ვ. რომანოვი.

განაგრძეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის მოხსენების „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების“ განხილვა. კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. კ. გუსევი — სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ა. ორუჯევი — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის მინისტრი, ლ. ი. დიაჩკოვა — ბელგოროდის ოლქის რაკიტიანის რაიონული საავადმყოფოს ექიმი, ვ. კ. მესიაცი — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი.

ყრილობას მიესალმნენ ამხანაგები: მოჰამედ საიდ მაზუზი — ალჟირის ეროვნული განთავისუფლების პარტიის ფრონტის პოლიტბიუროს წევრი, როდნეი არისმენდი — ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გორდონ მაკლენანი — დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, პენ სოვანი — კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სახალხო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ჰალედ ბაღდაში — სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, კარლოს ნუნიეს ტელიესი — ნიკარაგუის ეროვნულ-განმათავისუფლებელი სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, ნიკარაგუის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, რომლებსაც ყრილობის დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ბ. ქარმალს

27 თებერვალს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარესა და პრემიერ-მინისტრს ბ. ქარმალს. საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

საუბრის დროს, რომელმაც გუთბილ და ძმურ ატმოსფეროში ჩაიარა, განხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები.

ორივე პარტიის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ზოგიერთ საერთაშორისო საკითხზე. მათ გადაჭრით დაგმეს იმპერიალისტური, ჰეგემონისტური ძალებისა და რეგიონალური რეაქციის ხრიკები, რომლებიც მიმართულია ავღანეთის რევოლუციის წინააღმდეგ, და განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან ავღანეთის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

საუბრის დროს მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მტკიცედ ისწრაფვიან ხელი შეუწყონ ავღანეთში შექმნილი ვითარების პოლიტიკურ მოწესრიგებას იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1980 წლის 14 მაისის განცხადებასა და საბჭოთა კავშირ-ავღანეთის 1980 წლის 16 ოქტომბრის ერთობლივ განცხადებაში.

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის სახელით ამხ. ბ. ქარმალმა განაცხადა, რომ სავსებით ეთანხმება სკკპ XXVI ყრილობისადმი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ წინადადებებს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების შესახებ. (საკდესი).



სურათზე: შეხვედრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ი. კადარს

28 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის მეგობრული შეხვედრა.

მოეწყო აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხზე, აგრეთვე დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე.

ამხანაგმა ი. კადარმა მხურვალედ მიულოცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს შესანიშნავი მოხსენება, რომელიც სკკპ XXVI ყრილობაზე გააკეთა. იგი მთლიანად დაეთანხმა და მხარი დაუჭირა დაძაბულობის შენელების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და მშვიდობის განმტკიცების განვითარების განგრძობის წინადადებებს, რომლებსაც მოხსენება შეიცავს. უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას, თქვა ი. კადარმა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან ერთად მექმედებს, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ხელი შეუწყოს სოციალისტური თანამგზრობის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებას, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებას.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. კადარმა აღნიშნეს, რომ შემდგომ წლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძენება ომის საფრთხის გაფრთხილებისა, გამაფრთხილებელ ბრძოლაში. მათ ხაზი გაუსვეს, რომ მოძმე სოციალისტური ქვეყნები კვლავინდებურად ქვეყნად მშვიდობის უმნიშვნელოვანეს ბურჯად დარჩებიან.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. კადარის შეხვედრამ გულთბილ, ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ე. ჰონეკერს

28 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ე. ჰონეკერს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა შრომელის სახელით ე. ჰონეკერმა გულითადად მიულოცა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს სკკპ XXVI ყრილობის წარმატებული მუშაობა და დიდი კმაყოფილება გამოთქვა ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო. ამ თვალსაზრისო მარქსისტულ-ლენინურ დოკუმენტს, თქვა ე. ჰონეკერმა, მსოფლიოისტორიული მნიშვნელობა აქვს. მასში ჩამოყალიბებული წინადადებანი მშვიდობის განმტკიცების შესახებ დიდად უწყობს ხელს მთელ ძალებს, რომლებიც ილაშქრებენ ომის საფრთხის, რეაქციისა და იმპერიალიზმის თარეშის წინააღმდეგ.

ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ საბჭოთა კომუნისტები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებულ მიმდინარეობას, საყოველთაო-სახალხო მზადებას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის X ყრილობისათვის, რომელიც, უდავოდ, დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება რესპუბლიკის ცხოვრებაში.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ჰონეკერმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ორი მოძმე პარტიისა და ქვეყნის თანამშრომლობა, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა კვლავაც გაღრმავდება და განმტკიცდება.

შეხვედრამ მეგობრობის, გულითადობის და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

შეხვედრა კრემლში

28 თებერვალს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის შეხვედრა.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობის ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე, ორივე ქვეყნის ძმური ურთიერთობის განვითარების ხელსაყრელ პერსპექტივათა მიხედვით, რომლებიც წარმოჩენილია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში პარტიის XXVI ყრილობისადმი, გამოითქვა ორმხრივი რწმენა, რომ ახალ ხუთწლედში წარმატებით გადაწყდება განხილული საკითხები.

საუბარში მონაწილეობდა სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი.

შეხვედრამ გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

სსრ კავშირის ხალხთა მაღალი ხელოვნება

კონცერტი კრემლის ყრილობათა სასახლეში

საბჭოთა მრავალეროვნული ხელოვნების მიღწევათა შთამბეჭდავი დადასტურება, კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებითი პატაკი გახდა კონცერტი სკკპ XXVI ყრილობის დელეგატებისა და სტუმრებისათვის, რომელიც 28 თებერვალს გაიმართა კრემლის ყრილობათა სასახლეში.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, დ. ა. კუნაევი, ა. ი. პელშე, გ. ვ. რომანოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, ტ. ი. კისელიოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი.

დარბაზში იყვნენ კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების დელეგაციები.

რევოლუციური მარშით, წითელი დროშებით მოაბიჯებენ საბჭოთების მუშათა გვარდიის წარმომადგენლები. მათი საზეიმო სვლით იხსნება მარშ-პარადი-კონცერტის პროლოგი. შრომისა და ხელოვნების კავშირის ერთგვარ სიმბოლოდ მათ ესტაფეტას მსახიობები განაგრძობენ. ისინი გულთბილად ესალმებიან ყრილობის დელეგატებს, ლენინის დიადი პარტიის წარმომადგენლებს.

წითელ დროშებში მოჩანს ციფრი „XXVI“. ხალხი და პარტია ერთნი არიან! საზეიმოდ ღიღრს ყრილობის სასახლის დარბაზში ვ. რუბინისა და ნ. დორიზოს ახალი სიმღერა.

პარტიის შემქმნელს, რევოლუციის ბელადს — ვლადიმერ ილიას ძე ლენინს უძღვნიან ყოველთვის თავიანთ ფიქრებს საბჭოთა ადამიანები. სწორედ ამიტომ უსმენს დარბაზი სულგანაბული გორკის მოგონებათა სტრიქონებს ყველაზე ადამიანური ადამიანის შესახებ, რომლებსაც კ. ლავროვი კითხულობს. მათ აგვირგვინებს ბეთჰოვენის მძლავრი მუსიკა, რომელიც ასე უყვარდა ვ. ი. ლენინს: ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის დაწერილი მეხუთე კონცერტის ფინალი შეასრულეს პიანისტმა მ. პლეტნიოვმა და სსრ კავშირის დიდი თეატრის ორკესტრმა.

ლენინის იმ აზრის მხატვრული ილუსტრაცია, რომ ხელოვნება ხალხს ეკუთვნის, არის სადღესასწაულო სპექტაკლის ყოველი თავი. ქვეყნის საუკეთესო პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეებმა შთაგონებით და საინტერესოდ უამბეს დამსწრეთ საბჭოთა თანამედროვის გმირული მიღწევების, მისი მდიდარი სულიერი ცხოვრების შესახებ. სადღესასწაულო პროგრამა გამსჭვალულია ერთიანი ოჯახის ამაყი გრძნობით, ხალხის ალმშენებლობითი შრომისადმი პიროდი თანაზიარობის შეგნებით.

მუსიკალურ ჩუქურთმად შეირწყა ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის მელოდიები და რიტმები. რუსული სიმღერის სილამაზემ, ეროვნული საცეკვაო ხელოვნების სიმდიდრემ ნათლად იჩინა თავი სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტის ე. ობრაზცოვის, ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს რუსული ხალხური საკრავების ორკესტრის, სსრ კავშირის ხალხური ცეკვის აკადემიური ანსამბლის, ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბერიოზკას“, „რუსეთის ახალგაზრდა ბალეტის“ გამოსვლებში.

(დასასრული მე-4 გვ.)

„თქვენ ჩვენი რესპუბლიკის მომავალი ხართ“

27 თებერვალს მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა საქართველოს სს რესპუბლიკიდან წარგზავნილ სტუდენტებსა და ასპირანტებს, რომლებიც მოსკოვში სწავლობენ.

ამ შეხვედრის დღემ უფრო მნიშვნელოვანი გახადა იგი. 1981 წლის 27 თებერვალი — ორი დღით ადრე საქართველოს სს რესპუბლიკას შეუსრულდა სამოცი წელი. 1981 წლის 27 თებერვალი — მოსკოვში მუშაობას განაგრძობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა. 1981 წლის 27 თებერვალი — ჩვენი ქვეყნის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ რესპუბლიკის საუკეთესო მამულიშვილებს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ.

ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი საქართველოს სს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობაში მოწყობილ ამ შეხვედრაზე მოვიდნენ მას შემდეგ, რაც კრემლის ყრილობათა სასახლეში დამთავრდა საღამოს სხდომა, ქვეყნის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის დაძაბული სამუშაო დღე. ამ ფაქტმა ბევრი რამ აგრძნობინა შეხვედრის ახალგაზრდა მონაწილეებს, ბევრ რამეზე ჩაფიქრა ისინი...

ქართველი სტუდენტი მოსკოვში — საქართველოს ისტორიის მთელი ეპოქა დგას ამ სიტყვებს მიღმა. ეს არის ცნება და სიმბოლო, რომლებიც შვა თვით საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიამ, ლეკსიკონსა და ხალხის თვითშეგნებაში დამკვიდრდა საქართველოსა და რუსეთის სულიერი დაახლოების დაწყების შემდეგ, იგი ნაკურთხია კავშირით, რომელიც ჩვენი მიწა-წყლის აღორძინებას მოასწავებდა. ამას განსაკუთრებით მკაფიოდ იაზრებ აქ, შუაგულ მოსკოვში, ფალიაშვილის ქუჩაზე, ისტორიული ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩის სიახლოვეს.

ქართველი სტუდენტი მოსკოვში, რუსეთში — ეს არის „თერგდალეულთა“ დიადი პლეადა, XIX საუკუნის სამოციანელები, ცოდნის, სოციალური პროტესტის, ეროვნულ-განმათავისუფლებ ე ლ ი ბრძოლის მთესველნი, რაც ლოგიკურად და ბუნებრივად გადაიქცა ცარიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლად.

ქართველი სტუდენტი რუსეთში— თვალწინ წარმოგვიდგებიან ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე ჯავახიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი. სახელოვანი შვილი საქართველოსი — მისი სული, მისი ინტელექტი, მისი ქნარი და მეცნიერული გენია.

ქართველი სტუდენტი რუსეთში — თბილისის უნივერსიტეტის, უმაღლესი სკოლის ჩასახვა, ახალი წახნაგებითა და ფერებით ეროვნული კულტურის გამდიდრება, მისი აყვავება საბჭოთა წლებში. მოსკოვსა და ლენინგრადში ჩამოყალიბდნენ მეცნიერებად ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, ვიქტორ კუპრაძე, გიორგი წერეთელი, სერგი ჯიქია და სხვა ჩვენი თანამედროვენი, ქართული მეცნიერების სიამაყესა და სიქადულს რომ წარმოადგენენ.

ქართველი სტუდენტი რუსეთში — ახალი პერსპექტივებისა და ჰორიზონტების ინყინრული, მეცნიერული, შემოქმედებითი ძიება, რესპუბლიკის განვითარება ახლო მომავალსა და XXI საუკუნეში. დიახ, ამას მარტო შეხვედრის ახალგაზრდა მონაწილეთა ასაკი როდი მოწმობდა — ამას მოწმობდა მათი მომავალი პროფესიები და სპეციალობები. აქ წარმოდგენილია არა მარტო ქართველი ჭაბუკებისათვის დამახასიათებელი ლტოლვა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის, ბიოლოგიის, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტებისადმი, არამედ ძლიერი მიდრეკილებაც იმ პროფესიებისადმი, რომელთა შეძენაც შეიძლება მარტო მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, ან მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტში..., შეხვედრის მონაწილეთა შორის იყვნენ მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის, კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის ასპირანტები, ნავთობქიმიისა და გაზის მრეწველობის ინსტიტუტის სტუდენტები... მათი თვალით შემოგვცქეროდა რესპუბლიკის მომავალი. ამიტომ გვეამა იმის გაგება, რომ მათთვის ამ შეხვედრის ფავისებურ საშვად იქცა წარჩინებული სწავლა და აქტიური საზოგადო საქმიანობა — მოსკოვში ქართველი სტუდენტობის წარმომადგენლობის საუკეთესო უფლებამოსილება.

ეს აღნიშნა, შეხვედრის გახსნისას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივმა წარმომადგენელმა, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატმა თ. შ. ხაჩიძემ. საქართველოდან მოსკოვს გამოგზავნილ და უმაღლეს სასწავლებლებში უკონკურსოდ ჩარიცხულ სტუდენტებსა და ასპირანტებს, თქვა მან, შეგნებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა, რასაც სტიმულს აძლევს მთდამი ყურადღება, ზრუნვა მათი სწავლის, ყოფა-ცხოვრების, დასვენებისათვის. მუდმივ წარმომადგენლობაში მოწყობილი ეს მეორე შეხვედრა მოსკოვში მოსწავლე სტუდენტებთან მუშაობის ვრცელი კომპლექსური გეგმის ნაწილია. მუდმივ წარმომადგენლობას დამყარებული აქვს კონტაქტი მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელებთან, მან ყველაფერი იცის ქართველი სტუდენტების სწავლისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, ეხმარება მათ მატერიალურად. სტუდენტებს ესმით, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ, რაოდენ დიდ მზრუნველობას იჩენენ მათთვის, და ცდილობენ სწავლის, მეცნიერული და საზოგადო საქმიანობის უმაღლესი მიღწევებით უპასუხონ ამას.

შეხვედრაზე გამოსულმა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა დ. ი. ჩხეიძემ დამსწრეთ აცნობა, რომ მეათე ხუთწლედში რესპუბლიკიდან ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში უკონკურსოდ ჩაირიცხა დაახლოებით 800 სტუდენტი, რომელთაგან ყოველი მესამე დედაქალაქში სწავლობს. გარდა ამისა, მოსკოვის ინსტიტუტებში სწავლობს 152 ასპირანტი. ბევრმა მათგანმა სანიმუშო სწავლით და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კოლექტივებში პატივისცემა და ავტორიტეტი დაიმსახურა.

შეხვედრის ახალგაზრდა მონაწილეებმა უშუალოდ და წრფელად გამოხატეს თავიანთი გრძნობები, მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას, რესპუბლიკის ხელმძღვანელებს მამაშვილური ზრუნვისათვის, რაც ყურმოდ, იმით გამოიხატა, რომ სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის დღეებში მათი მოუცლელობის მიუხედავად შესაძლებელი გახდა ეს შეხვედრა, იმდენს რომ ავალებს ქართველ სტუდენტობას. სიტყვით გამოსულმა ყველა ახალგაზრდამ ილაპარაკა თავისი სწავლის, ოცნების, იმ მისწრაფების შესახებ, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს სამშობლოს.

ნანა სამადაშვილი, მოსკოვის ისტორიულ-საარქივო სახელმწიფო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი: ვამაყობთ მაღალი შეფასებთი, რომელიც საქართველოს ახალგაზრდობას მიეცა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში. პირობას ვდებთ, რომ ყველაფერს ვიღონებთ, რათა ნამდვილად გავხდეთ „რესპუბლიკისა და ქვეყნის საიმედო რაზმი, ოქროს ფონდი“.

ლევან კაკაბაძე, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი: მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ათი ქართველი სტუდენტიდან ცხრა ფრიადოსანია. ჩვენ ყველა თბილისის კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლის აღზრდილები ვართ. ვფიქრობ, რომ ჩვენი ურთიერთობა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან უფრო მჭიდრო და ფართო უნდა იყოს, უნდა ვხვდებოდეთ ერთმანეთს არდადეგებზე, ვმონაწილეობდეთ სამეცნიერო კონფერენციებში.

ნინო ზვანბაია, მოსკოვის ქვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი: მე სოხუმელი ვარ, წელს ვამთავრებ სწავლას. წინ მელის ხუთწლედი, რომლის ალმაფრთოვანებელი გეგმები უფროს ამხანაგებთან ერთად სინამდვილედ უნდა ვაქციოთ ჩვენც, ახალგაზრდა სპეციალისტებმა. სულმოუთქმელად ველი, როდის შევუდგები მუშაობას.

მერაბ კაბნიაშვილი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის ასპირანტი:

ვამთავრებ დისერტაციის თემაზე „ენერგიის კოსმოსური მზიურ გარდამქმნელებში ამორფული ნახევარგამტარი აფსკების გამოყენების თავისებურებათა შესწავლა“. მოვამზადე ორი განაცხადი საავტორო მოწმობისათვის. თემას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ გამოყენებითი მნიშვნელობა: საქართველოს მთის რაიონებში მზის ენერგიის გამოყენება საშუალებას მოგვცემს უფრო სწრაფად გარდაგქმნათ ჩვენი მაღალმთიანი რაიონები, გავზარდოთ მათი ეკონომიკური პოტენციალი.

ირაკლი მერიცდი, აკადემიკოს გუსკინის სახელობის ნავთობქიმიური და გაზის მრეწველობის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი: მე მომავალი მენავთობე ვარ. საქართველოდან ინსტიტუტში 28 კაცი ვსწავლობთ, ვეიფლებით სპეციალობებს ბურღვით დაფუძნებული და ეკონომიკით დამთავრებული. ვიცით, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდა ნავთობმომპოვებელი მრეწველობა გველის. და მაინც პრაქტიკაზე დავდივართ ციმბირში, თათრეთში, ბაქოში. რატომ არა საქართველოში? უნდა შევუთანხმოთ ავრეთვე ჩვენი სადიპლომო ნამუშევრების თემები საქნავთობს, ეს მეტ სარგებლობას მოგვიტანს ჩვენც და დარგსაც.

ანა დემენტიევა, თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი: ბავშვობიდან ვცეკვავ. რამდენიმე წელი ვცეკვავდი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლში, რომელსაც სსრ კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ხელმძღვანელობენ. ახლა ვსწავლობ თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში ბალეტმაისტერის სპეციალობით. ვოცნებობ შევქმნა ბალეტი ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის თემაზე.

დავით კალანდაძე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის ასპირანტი: სამ წელიწადს ვმუშაობდი რაიონულ საავადმყოფოში, ახლა ვეუფლები სისხლ-ძარღვთა ქირურგიის მეთოდიკას ისეთი გამოჩენილი ქირურგების ხელმძღვანელობით როგორიც არიან ჩვენი თანამემამულე აკადემიკოსი ბურაკოვსკი, პროფესორი პოკროვსკი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები მესხიშვილი და ბოკე-

(დასასრული მე-3 გვ.).

მაღალი ჯილდო

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ფამ ვან დონგს გაუგზავნეს მისალოცი დეპეშა იმის გამო, რომ მას 75 წელი შეუსრულდა.

რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის და დაბადების 75-ე წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხანაგი ფამ ვან დონგი ლენინის ორდენით დაჯილდოვა. (საკდესი).

პარტიისა და ხალხის დიადი ერთიანობა

26 თებერვალს საღამოს სხდომაზე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ყრილობის დელეგატები და სტუმრები ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს გენერალურ მდივანს ამხ. **რ. რაოს.** მან თქვა: სკკპ XXVI ყრილობა მიმდინარეობს პირობებში, როცა მსოფლიოში ერთობ კრიზისული სიტუაცია შექმნა. ომის იმპერიალისტები გაჩაღებენ. დაადგნენ გამალებული შეიარაღების, დაძაბულობის შენელებაზე უარის თქმის საშიშ კურსს, დაძაბულობის გაძლიერების კურსს, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ მსოფლიოში. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რეიგანმა აირჩია აგრესიული მუქარის, გამალებული ბირთვული შეიარაღების, სამხედრო უპირატესობის მოპოვების დამღუპველი გზა, რითაც მთელ კაცობრიობას თერმობირთვული კატასტროფის საფრთხეს უქმნის. მაგრამ ყოველივე ამას არ შეუძლია, როგორც ამას ნატრობენ იმპერიალისტები და მათი დამქაშები, შეაჩეროს მსოფლიო სოციალიზმის, დემოკრატიის, ეროვნული განთავისუფლების, მშვიდობის ძალების ძლევამოსილი წინსვლა. ჩვენს პლანეტაზე საკმარისად არიან ძალები, რომლებსაც შეუძლიათ, თუ დარაზმულად იმოქმედებენ, ალაგმონ ომის გამჩაღებლები და იხსნან კაცობრიობა დამანგრეველი მსოფლიო ომისაგან.

ამ დიდი ფორუმის ტრიბუნიდან ჩვენი პარტია მოუწოდებს ყველა მოძმე კომუნისტურ პარტიას შეიგნონ, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ამოცანები, უკუაგდონ მეორეხარისხოვანი, მოსაზრებანი, გაერთიანონ მეცადინეობა, რათა თავიანთი ისტორიული ვალი მოიხადონ მთელი მსოფლიოს ხალხების წინაშე. ერთიანი ფრონტით გაალაშქრონ იმპერიალისტ ომის გამჩაღებელთა და მათ დამქაშთა წინააღმდეგ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საუკეთესო ტრადიციების სულისკვეთებით.

მეტად საძრახის როლს ასრულებს საერთაშორისო ასპარეზზე ახლანდელი ჩინეთის ხელმძღვანელობა. ეს როლი პირდაპირაა დაკავშირებული ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი მოკავშირეების ახალ აგრესიულ მოქმედებასთან. სწორედ ჩინეთი დაესხა თავს გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელმაც მთელი მსოფლიო აღაფრთოვანა იმით, რომ დაამარცხა ერთ-ერთი უძლიერესი იმპერიალისტური სახელმწიფო. ჩინეთის ლიდერებმა მხარი დაუჭირეს პოლობოტის ბარბაროსულ რეჟიმს კამბუჩიაში.

იმპერიალიზმს რომ ელაციებიან, ლიდერები თანამშრომლობენ ფაშისტურ, რასისტულ და სხვა რეაქციულ რეჟიმებთან. ახლა ისინი უტიფრად მოითხოვენ, რომ შეიქმნას იმპერიალიზმისა და რეაქციის საყოველთაო ფრონტი დიდი ლენინის ქვეყნის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები და ჩინეთის ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შანტაჟის დახმარებით თავიანთი რეაქციული გლობალური სტრატეგიის ფარგალერში მოაქციონ მშვიდობისმოყვარე ინდოეთი. ამერიკელმა იმპერიალისტებმა შექმნეს ყველაზე თანამედროვე სამხედრო-საზღვაო ბაზა დიეგო-გარსიას კუნძულზე, ინდოეთის ოკეანეში თავი მოუყარეს ბირთვული იარაღით აჭურვილი უდიდეს სამხედრო-საზღვაო ძალებს, რაც საფრთხეს უქმნის როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე რეგიონის სხვა ქვეყნების უშიშროებასაც. ამერიკელ მმართველებთან ერთად ჩინეთის ლიდერები თავით ფეხამდე აიარაღებენ ზია-ულ ჰაკის რეჟიმს.

ჩვენი ხალხი კარგად ხედავს ამერიკელი იმპერიალისტებისა და ჩინელი ექსპანსიონისტების ამ თამაშს. სწორედ ამიტომაც ვერაკვითარი ძალა დედამიწაზე ვერ შეძლებს დაარღვიოს ჩვენი მეგობრობა დიად საბჭოთა კავშირთან, რომელიც მუდამ ჩვენთან იყო ჭირსა და ლხინში სამი ათწლეულის განმავლობაში ინდოეთის დამოუკიდებლობის მიღწევის დროიდან.

ორატორი მიესალმა ზიმბაბვესა და ნიკარაგუის ხალხებს, რომლებმაც გაიმარჯვეს რასისტულ და ფაშისტურ რეჟიმებზე, მიესალმა პალესტინელი ხალხის ეროვნული თვითგამორკვევისათვის მგრიელ ბრძოლას, რწმენა გამოთქვა, რომ გაიმარჯვებენ ნამიბიისა და სალვადორის მებრძოლი ხალხები. ამხ. რ. რაომ სოლიდარობა გამოუცხადა ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც წარმატებით იგერიებს პაკისტანის, ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციას. მან თქვა: ინდოელ ხალხს საუკეთესო სურვილები გადასცა კამბუჩიის მრავალტანჯულ ხალხს, რომელიც აღადგენს თავის ქვეყანას.

მეუხარე ტაშით შეხვდნენ ყრილობის მონაწილენი ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ამხ. **გ. ჰოლის** გამოსვლას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოველი ყრილობა, თქვა მან, უნიკალური ნიშანსვეტი, უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. ამიტომ ჭეშმარიტად დიდი პატივია მონაწილეობდე ასეთი ყრილობის მუშაობაში.

ამხანაგ ბრეჟნევის ღრმად შინაარსიანი და შთამაგონებელი მოხსენება მარქსისტულ-ლენინური აზრის ნიმუშია. დასახული ამოცანები გაბედულია, მაგრამ ისინი მტკიცედ ეფუძნება როგორც საერთაშორისო განვითარების რეალობებს, ასევე განვითარებული სოციალიზმის არსებული საზოგადოების შემდგომი მშენებლობის მორიგ ღონისძიებებს. ეს მოხსენება თავისებური კომპასი, მმ-იან წლებში მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების ბრძოლის ქარტიაა. იგი გამსჭვალულია ანტიიმპერიალიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

თქვენ — საბჭოთა ხალხს და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, თქვა შემდეგ ორატორმა, შეგიძლიათ მუდამ იამაყოთ თქვენი მშვიდობის მისიით, ისტორიული ფრონტით, რომელიც შეგაქვთ მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში. ფასდაუდებელია კაცობრიობის წინაშე თქვენი ღვაწლი — ომისა და ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება. მშვიდობის საქმისადმი თქვენნი უკომპრომისო, განუხრელი და გმირული ერთგულების გარეშე ჩვენი პლანეტა შეიძლება ახლა ბირთვული ფერფლის უსიცოცხლო გროვად ქცეულიყო.

თვით იმპერიალიზმის არსებობის ქვაკუთხედად იქცა დიდი სიცრუე, ხაზი გაუსვა მან, საზელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის უხვად დაფინანსებული იდეოლოგიური სამზარეულო დაკომპლექტებულია მალოლვალიფიციური მატყუარებით — „ტვინების გამორეცხვის“ სპეციალისტებით. ისინი ყოველნაირად ცდილობენ სოციალიზმის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და მუშათა კლასს მიაწერონ თავიანთი საკუთარი, მონოპოლიებისათვის დამახასიათებელი დანაშაულებრივი ბუნება და ულმობლობა. ჭეშმარიტების გაუკუღმართებით, „საერთაშორისო ტერორიზმზე“ მათი ახალი, თითქოდან გამოწვეული ბრალდებანი შეთითხნეს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის შესანიღბავად.

რეიგანის ადმინისტრაციის ენაზე ეროვნული განთავისუფლების, სოციალიზმისათვის ყოველ ბრძოლას, ყოველ სახალხო მოძრაობას და იმპერიალიზმისა და რეაქციული სამხედრო-ფაშისტური დიქტატურების წინააღმდეგ ბრძოლას „საერთაშორისო ტერორიზმი“ ჰქვია. დიდი სიცრუე მართლაც უსაზღვროა. დიდი სიცრუის განზოგადებაში მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების საბჭოთა პოლიტიკას „საბჭოთა სამხედრო საფრთხედ“ ასაღებენ.

თქვენი ყრილობა მთელ ყურადღებას უთმობს მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების პირობებში ადამიანებისათვის უკეთესი ცხოვრების შექმნის საკითხებს, თქვა შემდეგ ორატორმა. გასულ კვირას კი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში შეიტანეს წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებს სოციალური მომსახურების, განათლების, საბინაო მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვის, მოხუცებისა და უმუშევართა დახმარებისათვის ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას, ამავე დროს მონოპოლისტური კორპორაციებისა და პენტაგონის საჭიროებისთვის ეს ასიგნებათა გადიდებას.

მსოფლიო იმპერიალიზმის ციტადელში — ამერიკის შეერთებულ შტატებში მომზდარ ამბებს თუ განვიხილავთ, თქვა დასასრულ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, მტკიცედ ვიმწყნარებთ, რომ ისტორიული განვითარების ოსციექტური მსვლელობა ნიადაგს ამზადებს თვისებრივად ახალი მიღწევებისათვის მსოფლიო რევოლუციური პროცესის ყველა მიმართულებით. დროებითი სიძნელეები უკუღმა ვერ შემოაბრუნებენ ისტორიული პროცესების ძირითად გეზსა და ტენდენციებს.

ტრიბუნაზე ეთიოპიის შრომის პარტიის ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარე, სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მენგისტუ ჰაილე მარიამი.** დარბაზი მას მხურვალე ტაშით ხვდება.

ეთიოპიის რევოლუციონერთა აღტაცებას იწვევს, თქვა მან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის სახელოვანი ისტორია, განვითარებული სოციალიზმის იმ ქვეყნის ხალხის გმირობა, რომელიც სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი მთელი ძალების ბურჯი გახდა.

სოციალიზმს მარტო საბჭოთა კავშირში როდი შეესახა ხორცი. იგი მანათობელი ვარსკვლავი გახდა ყველასათვის, ვინც ნამდვილ თავისუფლებას ესწრაფვის. სოციალიზმი უკვე რეალობად იქცა მრავალი ხალხისათვის, და მისი ძლევამოსილი სვლა გრძელდება. ლენინის ხელმძღვანელობით მომზადებულმა და განხორციელებულმა ოქტომბრის რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე. სამყაროს აუწყა, რომ დაიწყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის, კოლონიალიზმის საუკუნოვანი სისტემის რღვევის ახალი ერა.

ხალხთა მისწრაფება ნამდვილი თავისუფლებისადმი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა იწვევს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების აღმოცენებას კოლონიური რეჟიმების ნანგრევებზე, ნეოკოლონიალისტური ექსპლოატაციის ბორკილების მსხვრევას, დედამიწაზე ნამდვილი თავისუფლების სფეროსა და დამოუკიდებლობის გაფართოებას.

პირსისხლიანი ამერიკული იმპერიალიზმი, თქვა შემდეგ ორატორმა, ცდილობს წარმართოს კაპიტალისტური ქვეყნების აგრესიული პოლიტიკა, თანაც დაუჭერმდია, თითქოს უნარი შესწევდეს შეცვალოს ისტორიის მსვლელობა და შეაჩეროს სოციალიზმის ძლევამოსილი სვლა.

იმის აშკარა დადასტურებას, რომ იმპერიალისტური ძალების მთელი საქმიანობა მიმართულია მშვიდობის ძალების წინააღმდეგ, წარმოადგენს მათი ურყევი მისწრაფება იმისადმი, რომ გააძლიერონ გამალებული შეიარაღება დასავლეთ ევროპაში ახალი რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების გზით. ამით ისინი ცხადყოფენ ევროპაში მშვიდობის საქმის აბუჩად აგდებას, რომელიც უნდა იყოს მშვიდობისმოყვარე ძალთა ზრუნვის საგანი, რათა იხსნან პლანეტა დაღუპვისაგან. მათი ცდები — ჩაეშალნენ განმათავისუფლებელი მოძრაობა აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ხალთა ანტიიმპერიალისტური ბრძოლა, კვლავ დაიმონონ დამოუკიდებელი განვითარებადი ქვეყნები — მთელი სიცხადით აღასტურებს, რომ ისინი ბედავენ წინააღუდგნენ თვით ისტორიას. მშვიდობისმოყვარე ძალები იძულებული არიან იბრძოლონ არა მარტო ხარბი იმპერიალიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ, არამედ ჩინეთის ლიდერთა პოლიტიკის წინააღმდეგაც, რომლებიც გადაბარგდნენ საერთაშორისო რეაქციის ბანაკში, ამ ბანაკ კი ამერიკელი იმპერიალისტები მეთაურობენ.

იმპერიალისტები და რეაქციული ძალები, რომლებსაც არ ეპიტნავებათ სოციალიზმის გზაზე ეთიოპიის მიერ მოპოვებული მიღწევები, კვლავაც ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენს მშვიდობიან მშენებლობას. მაგრამ ეთიოპიის რევოლუცია გაიმარჯვებს, რადგან მას ინტერნაციონალურ მხარდაჭერას უწევენ მსოფლიოს პროგრესული ძალები.

ეთიოპ რევოლუციონერ ე ბ ს ა და მშრომელებს, რომლებიც ლენინისა და დიდი ოქტომბრის გზით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხარდამხარ მიაბიჯებენ, თავიანთი თავი მსოფლიო სოციალიზმის სისტემის შემადგენელ ნაწილად მიაჩნიათ. ისინი გრძნობენ, რომ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში საბჭოთა კავშირის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გამოცდილება მათი ნათელი მომავლის ნიმუში და საიმედო გარანტიაა.

ამხანაგმა მენგისტუ ჰაილე მარიამმა აღნიშნა, რომ თანამედროვეობის მთავარი პოლიტიკური ძალაა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა. ამიტომ ეთიოპი რევოლუციონერები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა უფრო დიდი წვლილი შეიტანონ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებით ავანგარდული პარტიის შექმნის საქმეში.

ამით საღამოს სხდომა დამთავრდა.

26 თებერვლის დილის სხდომა

სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ა. ი. პელშე.** სიტყვა ეძლევა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **ხ. კ. გროსს.**

სკკპ XXV ყრილობის შემდეგ განვლილი წლები, თქვა ორატორმა, ჩვენი სამშობლოს ისტორიაში შევა, როგორც პარტიისა და ხალხის გმირული აღმშენებლობითი შრომის, ეპოქალური მიღწევების, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში დიდი გარდაქმნების პერიოდი.

თანამედროვე პირობებში პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში უთვალსაჩინოესი როლი ენიჭება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. ფუნდამენტურ შრომებში ლენინდ ილიას ძემ ღრმად გააშუქა მომწიფებული სოციალიზმის დიალექტიკური კანონზომიერებანი, საბჭოური ცხოვრების წესის უპირატესობა და მაღალი ჰუმანიზმი, ყოველმხრივ განვითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ახალი საზოგადოების მშენებლობაში პარტიისა და სახელმწიფოს როლის შესახებ, მეცნიერულად დასაბუთა კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მთავარი მიმართულებანი.

საბჭოთა მოლდავეთმა, თქვა შემდეგ დელეგატმა, რომელიც ვითარდება ქვეყნის ერთიან სახალხო სამეურნეო კომპლექსში, ძირითადად შეასრულა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანები. როცა შეეხო მეათე ხუთწლედის შედეგებს, მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ეწეოდა თანამიმდევრულ მუშაობას აგროსამრეწველო სასურსათო კომპლექსის ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის. მის წილად ახლა მოდის სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდების 57 პროცენტი და მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის 60 პროცენტი. ამ მუშაობის შედეგები დამაჯერებლად ცხადყოფს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის იმ მითითებათა მნიშვნელობას და აქტუალურობას, რომ მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის ფორმები ვერ ურიგდება უმოქმედობას და უნდა შეესაბამებოდეს ცვალებად სამეურნეო ამოცანებს.

მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის მშრომელებს მოუწევთ ახალი მიჯნების დაძლევა. მოლდავეთის პარტიული ორგანიზაცია, თქვა ორატორმა, კარგად გრძნობს, რომ მან ვერ შეძლო ბოლომდე გამოიყენებინა ახალ საწარმოო სტრუქტურათა უპირატესობანი, უზრუნველეყო წარმოების მყარი და განუხრელი ზრდა ყველა წამყვანი მიმართულებით. ამას ეხებოდა საფუძვლიანი და პრინციპული სკკპ-ბაასი საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე, მოლდავეთის კომპარტიის XV ყრილობაზე.

დაშვებული ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია წარმომქმნელი დისპროპორცია სასურსათო კომპლექსის ძირითადი დარგების განვითარებაში, მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საქმეში. არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, რომ მომოქცევის სფერის საწარმოო ფონდები შეადგენენ კომპლექსის ფონდების მხოლოდ რვა პროცენტს.

განსაკუთრებით ჩამორჩება სატრანსპორტო საშუალებათა განვითარება. ლეონიდ ილიჩი ამბობდა, თქვა ორატორმა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და საავტომობილო მშენებლობის სამინისტრო მზარს დაუჭერენ რესპუბლიკის წინადადებას ტირასპოლის ავტომობილმექანიკური ქარხნის რეკონსტრუქციისა და აქ წელიწადში რამდენიმე ათასი ოცდაორტონიანი ავტორეფრიჟერატორული მისაბმელის წარმოების ორგანიზაციის შესახებ. ეს, დელეგატის აზრით, უახლოეს დროში გადაჭრიდა სასურსათო კომპლექსის სატრანსპორტო პრობლემას. დაარჭარედა ახლად აღებულ პროდუქციის ქვეყნის სამრეწველო ცენტრებში მიწოდებას, პრაქტიკულად აღმოფხვრიდა მის დანაკარგებს გზაში.

მშობლიური პარტიის პოლიტიკას მხურვალედ იწონებს და სავსებით უჭერს მხარს ყველა საბჭოთა ადამიანი, განაცხადა ჯორჯ ლოგვარადის ოლქის საწარმოო გაერთიანება „ერასნოდონ-ქვანახშირის“, „მოლოდოგვარდეისკაიას“ შახტის მაღაროელთა ბრიგადირმა ამხ. **ა. ი. კოლესნიკოვმა.** ოლქის მაღაროელთა მრავალათას ი ა ნ ი რაზმის სახელით მან მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს იმისათვის, რომ ზრუნავენ ქვანახშირის მრეწველობის მშრომელებისათვის, დარგის განვითარებისა და ტექნიკური პროგრესისათვის.

გაერთიანების მეშახტეებმა ვადამდე შეასრულეს გასული ხუთწლედის დავალებანი. ამ გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანა დელეგატის ბრიგადამაც. კოლექტივმა ამოიღო ხუთ მილონ ტონაზე მეტი ქვანახშირი, აქედან 209 ათასი ტონა — გეგმის გადაჭარბებით.

ასეთივე დიდი უკუგებით შრომობს მეშახტეთა ბევრი კოლექტივი. ახლა უკრაინის შახტებში ასზე მეტი ბრიგადა დღე-ღამეში იღებს ათას და მეტ ტონა ქვანახშირს.

მეშახტეების მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეასრულონ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ახალი დავალებანი. ჩვენი ბრიგადის კოლექტივმა პირობა დადო მეთერთმეტე ხუთწლედში გეგმის გადაჭარბებით მოიპოვოს 250 ათასი ტონა ქვანახშირი, თქვა დელეგატმა.

იგი დაწვრილებით შეეხო რეზერვებს, რომელთა მეშვეობით შეიძლება საობობის მოპოვების ზრდა. ამისათვის მაღაროელებს ახალი, უფრო საიმედო და დიდმწარმოებლური ტექნიკა სჭირდებათ. საჭიროა აგრეთვე გაუმჯობესდეს ქვანახშირის საწარმოოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, რადგან ზოგჯერ მარტივი სათადარიგო ნაწილების ნაკლებობის გამო ხდება მოცდენა, იღებენ ნაკლებ საობობს.

მინდა აგრეთვე მხურვალედ დავუჭიროო მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა და ძირითად მიმართულებათა პროექტში ჩამოყალიბებულ დებულებებს გეგმის როლისა და იმის საჭიროების შესახებ, რომ ამაღლდეს პასუხისმგებლობა საგეგმო დავალებების საფუძვლიანობისა და რეალურობისათვის. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო კონკრეტული და ეფექტიანი გავხადოთ სოციალისტური შჯობრება.

როცა შეეხო მშრომელთა მისწრაფებას — ძალ-ღონე, ცოდნა და გამოცდილება არ დაიშურონ სამეურნეო კომპლექსის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხალხის ბრძოლისა და აღმშენებლობის დიდებული შედეგები, დასახულია კომუნისტური მშენებლობის მომავალი ეტაპის საკვანძო ამოცანები, მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ღრმა ანალიზი, განსაზღვრულია ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა.

აი რატომ არის, რომ საბჭოთა ადამიანები არ მარტო განუყოფლად უჭერენ მხარს თავისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, არამედ მიიჩნევენ მას თავის საკუთარ პოლიტიკად, პატრიოტული შრომით ქმნიან ყველაფერს, რაც საჭიროა მისი წარმატებით განხორციელებისათვის.

გასული ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა სომხეთის, მისი პარტიული ორგანიზაციის მთელი საზოგადოებრივ-პოლ ი ტ ი კ ურ ი ცხოვრება, განაცხადა დელეგატმა, ვითარდებოდა სკკპ XXV ყრილობის იდეათა ნაყოფიერი გაგლენით. მოხარული ვართ მოვახსენოთ ყრილობას, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამა წარმატებით შესრულდა, მეათე ხუთწლედისათვის დასახულ მიზნებს მივაღწიეთ, ზოგიერთი მაჩვენებლების მიხედვით კი გადავაჭარბეთ. ეს წარმატებები პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გაუფუძებული ყურადღებისა და ზრუნვის შედეგია. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მთელი რიგი დადგენილებები, რომლებმაც განსაზღვრეს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპი, შესაძლებლობა მოგვცეს მიგვეღწია სახალხო მეურნეობის სტრუქტურის პროგრესული ცვლილებებისათვის, საწარმოო ძალთა ძლევამოსილ ზრდის, სოციალური და ბუნების დაცვის ხასიათის მთელი რიგი მომწიფებული პრობლემების გადაწყვეტის წარუვალი ფაქტორი გახდა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები კრიტიკულად აფასებენ გაწეულ მუშაობას, ხედავენ თავიანთ ნაკლოვანებებს, ხარვეზებს, გადაუჭრელ საკითხებს. ჩვენ მოგვიწევს, აღნიშნა ორატორმა, მიზნადასახულად ვიმუშაოთ მზარდი საწარმოო და სამეცნიერო ტექნიკური პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ყოველმხრივ ამაღლებისათვის, შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების, სათბობ-ენერგეტიკული ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

მარტო უკანასკნელ წლებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დადგენილებები, რომელთა მიზანია მორეული აღმოსავლეთის რეგიონის ეკონომიკის მეცნიერებისა და კულტურის დაჩქარებული კომპლექსური განვითარება, მისი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, აღნიშნა სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ა. კ. ჩორნიმ.** ამის შედეგები კარგად ჩანს მხარის მაგალითზე. გასული ხუთწლეულის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 26 პროცენტით გაიზარდა. უპირატესად განვითარდა მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, გემთმშენებლობა, ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობა, ფერადი მეტალურგია.

ამჟამად ამურისპირეთის მრეწველობა აწარმოებს ის სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით მესამედს, რომელსაც საბჭოთა შორეული აღმოსავლეთი უშვებს. დადგენილი ვადების მნიშვნელოვანი გასწრებით დაიწყო მატარებლების სამუშაო მოძრაობა ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე. ურგალიდან პოსტიშევომდე. ბამის აღმოსავლეთის უბანმა საექსპლოატაციო რეჟიმით დაიწყო მუშაობა.

ამასთან, თქვა ორატორმა, როცა კრიტიკულად ვაფასებთ მიღწეულ შედეგებს, კარგად გვესმის ისიც, რომ ჩვენში ჯერ კიდევ სრულად არ გამოიყენება რეზერვები და შესაძლებლობანი საწარმოო ძალების უფრო სწორი და კომპლექსური განვითარებისათვის. სამხარეო პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო მტკიცედ იმუშავებს, რათა აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ლ. ი. ბრეჟნევის იმ მითითებების შესაბამისად, რომ საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს შორეულ აღმოსავლეთში ბამის ზონის სამეურნეო ათვისება, მიქმედი საწარმოების რეკონსტრუქციასთან ერთად განზოგადდა მანქანათმშენებლობის, შავი, ფერადი მეტალურგიის, ქიმიური, ხე-ტყის დამამზადებელი, ხის დამუშავებელი მრეწველობის ახალი ქარხნების მშენებლობა. მარტო ხაბაროვსკის მხარეში კაპიტალური მშენებლობის მოცულობა ხუთწლეულის მანძილზე სულ ცოტა ერთნახევარჯერ უნდა გაიზარდოს.

მხარის კომუნისტები და მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის თანამმდევრულ საგარეოპოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების დარაზმულობის განმტკიცება, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, სამხედრო ავანტიურების მოტრფიალეობა და დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეებისათვის საკადრისი პასუხის გაცემა.

ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ დასკვნებს, ჩინეთთან ურთიერთობის თაობაზე, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება შეიცავს, განაცხადა სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა. გადაჭრით უარვყოფთ პეკინელ ხელმძღვანელთა ანტისაბჭოურ მონაჭორს და მრისხანედ ვგმობთ მათს ავანტიურისტულ პოლიტიკას. შექმნილ პირობებში ხაბაროვსკის ოლქის პარტიული კომიტეტები ისევე, როგორც შორეული აღმოსავლეთის ყველა პარტიული ორგანიზაცია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობის პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებას, სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შორეული აღმოსავლეთის საზღვრების ხელშეუხებლობა.

როცა დამსწრეთ გააცნო წარმატებები, რომლებსაც რესპუბლიკის მშრომელებმა გასულ ხუთწლეულში მიაღწიეს, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **კ. ჯ. ვაინომ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს წარმატებები შესაძლებელი გახდა ქვეყნის მოძმე ხალხების, და უპირველეს ყოვლისა რუსი ხალხის უანგარო დახმარების შედეგად. რესპუბლიკაში ვადამდე მიაღწიეს სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპის მეათე ხუთწლედისათვის დასახულ დონეს, უფრო ინტენსიურად დაიწყო განვითარება მეცხოველეობამ. საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულებამ შესაძლებლობა შექმნა იმისათვის, რომ საბინაო პირობები გაგვუმჯობესებინა რესპუბლიკის ყოველი მეხუთე მცხოვრებისათვის. მაღალი შეფასება, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მისცა თავის მოხსენებაში ესტონელის კომუნისტთა მუშაობას წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, ახალი მიღწევების მოსაპოვებლად აღგვაფრთოვანებს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ადგილობრივი ნედლეულის — საწვავი ფიქლების ეფექტიანი გამოყენებისათვის. დელეგატმა ყრილობას მოახსენა, რომ შარშან რესპუბლიკის მაღაროელებმა ფიქლების რეკორდულ მოპოვებას მიაღწიეს.

შახტებისა და ელექტროსადგურების კოლექტივები დადგნენ დამკვრელურ საყრილობო ვახტზე და ზამორის პირობებში უზარმაზარ მოცულობის ფიქლებ მოიპოვეს. ეს ნაბიჯი ენერგეტიკის ბაზის გაუსვა მან, დასავლეთ ციმბირის დიდი აგროსამრეწველო რაიონი გახდა. განვლილ ხუთწლედში უზრუნველეყოფილ ბევრი ეკონომიკური და სოციალური ამოცანის შესრულება. დიდი ტემპით ვითარდება მანქანათმშენებლობა, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო, ქიმია, ნავთობქიმია, სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი დარგები.

ალტის კომუნისტებსა და ყველა მშრომელს ესმით, რაოდენ დიდი როლი ეთმობა მხარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის გადაწყვეტაში. ალტაი გახდა დიდი სასურსათო ბაზა, დიდმნიშვნელოვანი კვების პროდუქტების მიმწოდებელი ჩვენი ქვეყნის ბევრი რაიონისათვის. ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული აგრარულ პოლიტიკას, პარტიის სამხარეო ორგანიზაცია მუდმივ ყურადღებას უთმობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლები მძიმე იყო მკაცრი ამინდის პირობების გამო, ცენტრალური კომიტეტის, პირადად ლეონიდ ილიას ძის ყოველმხრივი დახმარების წყალობით მხარემ შეინარჩუნა სოფლის მეურნეობის უძვირფასესი პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიწოდების მოცულობათა მაღალი დონე.

ჩვენ, განაცხადა დელეგატმა, ვახორციელებთ ღონისძიებებს, რათა ყოველწლიურად ვაწარმოოთ სულ ცოტა 8 მილიონი ტონა მარცვლეული, სახელმწიფოს მივყიდოთ სულ ცოტა 4 მილიონ ტონა მარცვლეული და შესაძრნევად გავადიდოთ ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების მოცულობა. ჩვენი გეგმების შესრულების საწინდარია პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების დიდი ორგანიზატორული მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს მიწოთმოქმედების ნიადაგსაცავის სისტემის კომპლექსური ათვისებას, ნიადაგის ნაყოფიერების ყოველმხრივ გაზიდებას, მიწების მელიორაციის ფართოდ გაშლას, ტექნიკის რაციონალურად გამოყენებას მოლდავეთის სს რესპუბლიკისა და სტავროპოლის მხარის გამოცდილებისამებრ.

„თქვენ ჩვენი რესპუბლიკის მომავალი ხართ“

(დასასრული)

...ია. ვმუშაობ სადისერტაციო თემაზე: „მალების არტერიების დაზიანების დიაგნოსტიკა და ქირურგიული მკურნალობა“. ჩვენს ინსტიტუტში საქართველოდან 15 რეზიდენტი მოდის. ...ორდინატორი და ასპირანტია.

...ირაკლი იაშვილი, მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი: ჩემი სპეციალობაა ...ქოვი ფართლეულის წარმოება. ...ინი სულ უფრო ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობაში. ...ბთი უფრო ფართო გამოყენების ...ეციალობებია ხაზგასმულია ძირითად მიმართულებებში. სამწუხაროა, რომ ამ პერსპექტიულ სპეციალობას ინსტიტუტში ჩვენი რესპუბლიკიდან მარტო მე ვეუფლები.

...გორგი ანდელაკი, მოსკოვის ...ომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი, სახალხო მეურნეობას მეტად აინტერესებს ახალი არაორგანული ...ნაერთები, რომლებიც შეცვლის ...ეფოლონის შენადნობებს აგრესიულ და მაღალი ტემპერატურის პირობებში, რაც დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს. ერთ-ერთ მაგალითად მუშაობს ახლა ჩვენი ლაბორატორია. უკვე შექმნილია ...ალი კერამიკული მასალის მიღების მეთოდი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ გამგზავნეს მიზნობრივ ასპირანტურაში, სადაც განვაგრძობდი კვლევას. ასეთი პრაქტიკა მეტად სასარგებლოა.

გულთბილად, გულითადად, ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ ახალგაზრდობა, ყველა შეკრებილი ედუარდ შევარდნაძეს, როცა შეხვედრის წამყვანმა მას სიტყვა მისცა.

— ჩვენ, პარტიული ყრილობის დელეგატები, აქ კრემლის სასახლიდან მოვედით, — თქვა მან. — და ისეთი გრძნობა გვაქვს, თითქოს ჩვენი მუშაობა გრძელდებოდეს: ისე მაგონებს თქვენი მხერვალე, დაინტერესებული სჯა-ბაასი პარტიული ფორუმის ატმოსფეროს. თქვენი გამოსვლები მარწმუნებს, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენთ მისი მუშაობისადმი, და ეს ინტერესი კანონზომიერიცაა. ჩვენც ყრილობის დელეგატები, თქვენც, ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც ახლა მის მასალებს ეცნობით, — ყველა ჩვენგანი დიდი მოვლენის მონაწილენი ვართ. ...ყრილობაზეც, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაშიც, რომელიც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა გააკეთა, დელეგატთა გამოსვლებშიც ხომ აღძრულია თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე მწვავე, ყველაზე საჭირბოროტო საკითხები, ნაჩვენებია ბევრი პრობლემის გადაწყვეტის გზები. და ის, ვინც სერიოზულად ფიქრობს თავისი ქვეყნის, თავისი რესპუბლიკის მომავალზე, ღრმად და შემოქმედებითად უნდა სწავლობდეს ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის დოკუმენტებს.

დღევანდელ შეხვედრაზე განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა, თუ რა პასუხისმგებლობით ეკიდება სტუდენტი ახალგაზრდობა თავის მომავალ მოქალაქეობრივ და პროფესიულ მისიას. სასიამოვნო იყო იმის მოსმენა, თუ რა თავისუფლად, გონივრულად, მკაფიოდ, პერსპექტივების ცხადი გაგებით საუბრობდით აქ საკუთარი თავის, თქვენი სწავლის, მომავლის გეგმების შესახებ. გვახარებს, რომ მოსკოვში საქართველოს ასეთი ღირსეული ახალგაზრდობა წარმოადგენს.

რესპუბლიკის სტუდენტობა, ისევე როგორც საქართველოს ყველა მშრომელი, ამაყობს ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური მიღწევების იმ მაღალი შეფასებით, რომელიც ყრილობაზე დაიმსახურა. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ისეთ მაღალ ფორუმზე, როგორიც ეს ყრილობაა, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის, საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა მშრომელის საქმიანობას ასეთი მაღალი შეფასება არასოდეს ჰქონია. მაგრამ მინდა იცოდეთ: თუმცა რესპუბლიკა აღმავლობის გზაზეა, მაგრამ ზრდა ჩვენში ჯერჯერობით რიცხობრივი ფაქტორების ხარჯზე მიმდინარეობს: ჩვენ ვაფართოებთ წარმოებას, ვაშენებთ ახალ საწარმოებსა და მეურნეობებს... მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა ავამოქმედოთ მეურნეობის ინტენსიური გაძღოლის ფაქტორები. ამასთან დაკავშირებით მეტად დიდი ამოცანები ისახება ჩვენი მეცნიერების წინაშე. უახლოეს მომავალში ვაპირებთ გავმართოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც დასახავს რესპუბლიკის ეკონომიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზებს. ურიგო როდი იქნება, თუ თქვენც, მომავალი სპეციალისტები, წარმოების ორგანიზატორები და მეთაურები, გამოგვიგზავნით წინადადებებს, მონაწილეობას მიიღებთ პლენუმის მომზადებაში.

შეხვედრაზე დაისვა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც სტუდენტთა სწავლისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ეხება. რა თქმა უნდა, ყველა ამ საკითხს ყურადღებით შევისწავლით, რათა საჭირო ზომები მივიღოთ. ამგვარი შეხვედრები, ხაზგასმით აღნიშნა ე. შევარდნაძემ, სისტემატური უნდა გახდეს, უფრო საქმიან, კონკრეტულ ხასიათს ატარებდეს, უნდა მოვიწვიოთ ხალმე საქართველოს სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების ხელმძღვანელები, ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები.

ამხანაგმა ე. შევარდნაძემ გულითადი მადლობა გადაუხადა ყველა შეკრებილს შეხვედრაზე გამოთქმული გულითადი მოლოცვებისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, და სტუდენტებსა და ასპირანტებს უსურვა წარჩინებული სწავლა, წარმატებანი და ბედნიერება ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: შეხვედრის დროს.

საინფორმაციო სააგ. კორესპონდენტების მ. დათიკაშვილისა და ი. დავითაშვილის ფოტო (საკადრო-საინფორმაციო ტელეფოტო).

იმავე საღამოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა დ. ი. ჩხიკვიშვილმა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ნ. ორჯონიკიძემ საუკეთესო სტუდენტთა და ასპირანტთა ჯგუფს გადასცეს სამინისტროსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები.

ე. ვორობეიჩიკი,
თ. მამალაძე,
საინფორმაციო სააგ. კორ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა

პარტიისა და ხალხის დიადი ერთიანობა

(გაგრძელება)

...ა მუშათა დაბები, გაყვანილია ...ეცოცხლის გზა“ — ჩრდილოეთ ...ბირის ფოლადის ტრასა. მეა... ხუთწლედის მანძილზე აქ მი...ულია ბევრად მეტი ნავთობი ...ზი, ვიდრე მოლიანად განდელი დროის მანძილზე. XXV ...ილობის გადაწყვეტილებანი გა...ბებით შესრულდა.

...ახლა ციმბირელთა შრომით ...ექტებებში, თქვა შემდეგ ორ...ომა, საფუძვლიანად, დაინ...ებით განხილავენ სკკპ ...ენტრალური კომიტეტის ძირი...ად მიმართულებათა პროექტს. ...მდინარე ხუთწლედში ტიუმე...ს ოლქმა ქვეყანას უნდა მის...ს იმდენივე ნავთობი, რამდე...ც მოპოვებული იყო წინა ...ეთმეტი წლის მანძილზე, ხო...ო გაზი — ერთიორად მეტი. ...ს დაძაბული, მაგრამ მეცნიერ...ად დასაბუთებული და რეა...ული ამოცანაა. უკვე ახლა ...ასკუთრებული ყურადღება ეთ...ება ახალი საბადოების დაჩქა...ებულ ძიებასა და დაზვერვას, ...ა მოვამზადოთ ბაზა 1990 ...ისათვის. მომწიფდა გაზის ...ნდენსატის გამოვლენილი მარა...ის ათვისების დაწყების საკით...ი.

...ერ კიდევ ბევრი გადასაწყ...ეტი ამოცანა აქვთ ოლქის მშრო...ელებს, ბევრი პრობლემა და სი...ოელე, რომლებიც წამოიჭრა ...ეცელი, ძნელად გასავლელი ...ტორიის პირველი ათვისებ...ს დროს, აღნიშნა დელეგატმა. ...გრამ მთავარი, რაც ციმბირე...ებს ახასიათებთ, ეს არის კარგი ...ომითი განწყობა.

...პარტიის ზრუნვის პასუხად კო...ექტივები იღებენ ახალ ვალდე...ულებებს, ჩაღდება შეჯიბრება ...ბინარე ხუთწლედში მილიო...ტონა ნავთობისა და მილია...დი კუბური მეტრი გაზის სადღ...ელამისო მოპოვების მისაღწევად. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს სკკპ XXVI ყრილობას აღვუთქვათ, რომ ტიუმენის ოლქის კომუნისტები, ყველა მშრომელი ახალ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში წამოყენებული ენერგეტიკული პროგრამის განხორციელებაში. ციმბირელები პირობას შესრულებენ და, როგორც ყოველთვის, მოწინავე პოზიციებზე იდგებიან ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში!

ადგილებზე პარტიული კადრებისათვის ზრუნვა, მათდამი მაღალი მომთხოვნელობა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის სტილის განმასხვავებელი ნიშანია, განაცხადა უკრაინის კომპარტიის დონეცკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამბ. **ბ. ვ. კაჩურამ.** ორატორმა მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც მოწმობს, თუ რაოდენ ყურადღებით ეკიდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტი, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი დონბასის პარტიული ორგანიზაციის მუშობას. მან დაასახელა, კერძოდ, ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილება მშენებლობისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების გეგმების შესრულების უზრუნველყოფისათვის დონეცკის საოლქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, რომელმაც დადებითი გავლენა მოახდინა საქმის ვითარებაზე.

მთლიანად გასულ ხუთწლედში ინდუსტრიული ოლქის ეკონომიკა დინამიკურად ვითარდებოდა. დაჩქარებული ტემპით იზრდებოდა ხალხისათვის საქონლის გამოშვება. ოლქის პარტიული ორგანიზაცია უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას, რათა უფრო სრულად უზრუნველყოს მოსახლეობა სურსათით ადგილობრივი წარმოების ხარჯზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქელები ოლქის მთელი მოსახლეობის თითქმის 90 პროცენტს შეადგენენ. უკანასკნელი წლების მანძილზე შევძელით მნიშვნელოვან წილად გადაგვეწყვიტა ადგილობრივი ბოსტნეულითა და საადრეო კარტოფილით, რძის პროდუქტებით მშრომელთა მომარაგების ამოცანა, იზრდება ტბორის თევზის წარმოება.

როცა პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფას შეეხო, დელეგატმა აღიარა, რომ მთელი რიგი პრობლემები ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. უფრო სწრაფად უნდა ვითვისებდეთ საწარმოო სიმძლავრეებს, ბევრი რამ უნდა გაკეთდეს კაპიტალურ მშენებლობაში დაბანდებული სახსრების გამოყენების დაჩქარებისათვის.

ორატორმა გაითვალისწინა, რომ დონბასი ქვეყანას აწვდის ლითონის, თუჯის, ქვანახშირის მნიშვნელოვან ნაწილს და დასვა საკითხი, რომ საჭიროა მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების ჩამოყალიბებისას უფრო სრულად გაითვალისწინონ ოლქის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები.

დონეცკის ოლქი, ხაზგასმით აღნიშნა დელეგატმა, სტახანოვური მოძრაობის აკვანი, ბევრი სახელოვანი შრომითი თაოსნობის სამშობლოა. პირველი ხუთწლედების ნოვატორთა ტრადიციებს წარმატებით ავითვარებენ და ამრავლებენ დღევანდელი დონბასის წარმოების მოწინავენი. ორატორმა აღუთქვა ყრილობას, რომ ოლქის კომუნისტები, ყველა მშრომელი წარმატებით განახორციელებენ ყოველივეს, რაც პარტიამ დაუსახა.

კრასნოიარსკის მხარის მდიდარი ენერგეტიკული და ნედლეულის რესურსების ათვისება, ხაზგასმით აღნიშნა სკკპ სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **პ. ნ. ფედორკომ,** ხორციელდება მძლავრი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსებისა და სამრეწველო კვანძების შექმნის გზით. ეს საშუალებას გვაძლევს შევამციროთ მშენებლობის ხარჯები, დაზოგოთ ნედლეული და მასალები. მხარის საწარმოო ძალების განვითარების ათი წლის პროგრამა ძირითადად შესრულდა.

როცა კაპიტალური მშენებლობის საკითხებს შეეხო, ორატორმა აღნიშნა, რომ სიმძლავრეთა ვადამდე ამუშავებასა და ათვისებას ხელი შეუწყო ლენინგრადისა და საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურების მშრომელთა შემოქმედებითმა თანამგობრობამ. ფასდაუდებელი დახმარება გაუწია მხარის მშრომელებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის რჩევა-დარიგებამ და რეკომენდაციებმა, რომელიც მან გამოთქვა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში მოგზაურობისას. შრომითმა კოლექტივებმა წარმატებით შეასრულეს საყოველთაო სოციალისტური ვალდებულებანი. პარტიული ფორუმის გასსნის დღისათვის გამოშვებულია სკდ-6 „სიბირიაკის“ მარკის ახალი მარკვლეულის ასაღები კომბაინების პირველი პარტია. მიღებულია პირველი ლითონი ნადეჟდინსკის მეტალურგიულ ქარხანაში, რომელიც იმერპოლარეთში შენდება, პირველი პროდუქცია გამოუშვა ქარხანამ „ციმბირბოჭკომ“.

როცა მეთერთმეტე ხუთწლედში გადასაწყვეტ ამოცანებზე ილაპარაკა დელეგატმა აღნიშნა, რომ პრაქტიკულად ყოველთვის ნამდვილად კომპლექსურად როდი უდგებიან მხარის ბუნებრივი სიმდიდრის ათვისებას, ჯერჯერობით მოთხოვნებს არ შეესაბამება სხვადასხვა სამინისტროს იმ სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაოების გაქანება, რომლებიც კანსკ-აჩინსკის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ. განსაკუთრებით ჩამორჩება საბინაო მშენებლობა. სერიოზული ნაკლოვანებებია ახალმშენებლობათა დაგეგმვაშიც.

ახალი სიმძლავრეები, როგორც ორატორს მიაჩნია, უნდა შეჰქონდეთ ასამუშავებელი ობიექტების გეგმაში და ამასთან მთლიანად უნდა იყოს უზრუნველყოფილი საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობითა და კაპიტალური დაბანდებებით. ჯერჯერობით კი ყველა სამინისტრო და უწყება როდი აბანდებს საჭირო სახსრებს საერთო საკავშირო ობიექტების აგებაში, ზოგჯერ აფერხებენ ისეთ საწარმოთა მშენებლობას, რომლებიც ნედლეულის გამოყენებისა და გადამუშავების პროცესის ტექნოლოგიური ჯაჭვის გაგრძელება უნდა გახდეს. უნდა გავაძლიეროთ აგრეთვე ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების ფორმირების სამუშაოთა კოორდინაცია, სრულყოთ მათი მართვა როგორც საკავშირო ორგანოების მიერ, ისე ადგილებზე.

კრასნოიარსკელ-ციმბირელებს, თქვა დასასრულ სკკპ სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ კომუნისტური მშენებლობის ახალ მიჯნებს, ღირსეულად შეასრულონ პარტიის გეგმები.

ყრილობის ტრიბუნიდან ტურნირის ინიციატორ ვლადიმერ ნეკლიაევი მგზნებარედ კითხულობს ლექსს:

მომავლისათვის ბრძოლა
გრძელდება,
მზად ვართ, შრომას და ბრძოლას
შევხვდეთ.
არის სამშობლოს ბედნიერება —
ბედნიერება ყველა ჩვენგანის.
ყინულმკრეხელივით გასცურე,
მხარეს!

ზათქით, წკრიალით შეხვდი
განთიადს!
დგას და ფიცივით პატაკს
გაბარებს,
დღეს კომკავშირი, ჩვენი
პარტიაც!

ტაშის გრიალში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადასცეს ლენინური კომკავშირის პატაკი. ეს საპატიო უფლება მიენიჭა მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის ხარატს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრს **ნიკოლოზ მაზონინს.**

უფროსი ამხანაგების — კომკავშირელების ესტაფეტას პიონერები იღებენ.

დარბაზში გაისმის ყმაწვილის წკრიალა ხმა:

—მე ურალელი მუშის შვილი ვარ. ჩემი მამა — თვედორე ვასილის ძე შიშლოვი სოციალისტური შრომის გმირი, XXVI ყრილობის დელეგატია. მამა ხშირად ამბობს: „ჩემი ქარხანა, ჩემი საამქრო, ჩემი ბრიგადა!“. გაიკლის დრო, მეც ქარხანაში მივალ და ამაყად ვიტყვი: „ჩვენ, შიშლოვები, მუშა ხალხი ვართ! **(ტაში. გამოცოცხლება დარბაზში).**

ჩვენი მამების ღირსი ვიქნებით! პიონერულ სიტყვას ვიძლევით! **(ტაში).**

ნორჩი ლენინელები ყრილობას უპატაკებენ თავიანთ საქმეებს, უზიარებენ ოცნებებს:

— მე ხილოლა მქვია, რაც ნიშნავს „პატარას“. მხოლოდ ფრიადებზე ვსწავლობ. ძალიან მინდა შეგამბე გოგონების სკოლაში ვისწავლო, რომელსაც ხელმძღვანელობს დედაჩემი — ტურსუნი ახუნოვა. **(ტაში).** ვემზადები კიდევ ერთიც ამისათვის. შარშან იმდენი ბამბა მოვკრიფე, რომ ეყოფა პიონერიულ ფორმას მთელი ჩვენი რაზმისათვის. **(ტაში).**

ძვირფასო დელეგატებო, მოისმინეთ ჩემი ლექსი:

ხულ ფრიადებზე ვისწავლი,
გავზდები რჩიულთ სწორი,
ვიქნები კარგი მოსწავლე
დედა ტურსუნის სკოლის!
(ტაში. გამოცოცხლება დარბაზში).

ყრილობის დელეგატებს მიესალმებიან ოქტომბრელები:

დელეგატებო, მოვფრინავთ
თქვენსკენ გაშლილი ფრთებით,
ჯერ პირველ კლასში დავდივართ,
პირველ ყრილობას ვხვდებით.
(ტაში. გამოცოცხლება დარბაზში).

შვილიშვილები, შვილები —
თქვენი გულების გავლა,
ტანად თუ პატარები ვართ,
უსაქმურები არ ვართ.
(ტაში).

ჩვენ ოცნებები გვამშვენებს —
გვინდა დიდებად ვიქცეთ,
რომ ჩვენ საყვარელ სამშობლოს
მეტი დოვლათი მივცეთ.
(ტაში).

ოქტომბრელებისაგან ესტაფეტას იღებენ მათი უფროსი ამხანაგები — პიონერები:

დაუვიწყარი, ნანატრი დღეა,
ყოველი წუთი სავსეა ლენინით,
ჩვენი პარტიის ყრილობას დიადს
პიონერული სალამი ჩვენი!.
(ტაში)

დღეს გვაფრთიანებს სკოლა
მშობელი,
რომ ხვალ დაგვითმონ გზები
ბეჯითებს,
რომ ჩვენი ცოდნა, როგორც
ხორბალი,
ქვეყნის სიკეთედ ამოჯეჯილდეს.

ლენინურ გზებით მივიწევთ
მაღლა,
საბჭოთა ქვეყნის ყოველი
შვილი,
ყველა ჩვენგანი ოცნებობს ახლა,
რომ შეიტანოს წვლილი
ხუთწლედში,
პიონერული შრომითი წვლილი.
(ტაში).

ბედნიერი, უღრუბლო ბავშვობისათვის პარტიისადმი გულითადი მადლობით ელერი სტრიქონები:

რომ სიმღერები დღეს გვაქვს
ხნიერი,
ცაზე მშვიდობის მზე რომ
აშუქებს,
რომ ბავშვთა წელი ჩვენ
ბედნიერი
ყოველ წელიწადს კვლავ რომ
გვაჩუქოთ.
რომ გვზრდის ახე და გვაკრავს
მანტიად
სხივი ოქტომბრის ცეცხლით
ნაშობი,
ჩვენი მადლობა მშობელ
პარტიას!
ჩვენი მადლობა, ძვირფას
სამშობლოს! (ტაში).

ყველა ბავშვების სახელით
ლენინდ ილიჩს მინდა
ვუძღვნა ჯანმრთელი დღეები,
ვარდების კონა წმინდა.
(ტაში).

მინდა ვარდებად დავეწნოთ,
მის ზრუნვასა და ამაგს
და მოვეფინო ალერსით
ისე, ვით მშობელ მამას!
(მეუხარე ტაში).

პიონერები ყრილობის პრეზიდიუმის წევრებს გადასცემენ ყვავილებს.

ქვეყნის ახალგაზრდობა უსაზღვროდ ერთგულია ლენინის ანდერძისა, კომუნისტური პარტიის საქმისა. ამას უპატაკებენ ლენინური კომკავშირის სახელით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დნეპროპეტროვსკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე **ანატოლი გრიცენი** და კინოსტუდია „ლენფილმის“ მსახიობი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი **ელენე დრაპეკო:**

— ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეგ!

საბჭოთა ახალგაზრდობამ იცის, რომ თქვენთვის ძვირფასი და ახლობელია მუშის შრომა და ჯარისკაცის მხედრული გმირობა, ომისშემდგომი აღორძინებისა და ყაზარის ეპოპეის გმირული დღეები. **(ტაში).**

მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეათა გამარჯვებისათვის ბრძოლას თქვენ ახმართ მთელ თქვენს რწმენას, რევოლუციურ ენერგიას, მრავალმხრივ ნიჭს. პლანეტის პროგრესული ახალგაზრდობა თქვენ გიწოდებთ თანამედროვეობის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს, დაძაბულობის შენელების სულისჩამდგმელს, მშვიდობისა და აღმშენებლობის მედროშეს! **(ხანგრძლივი ტაში).**

კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები თქვენგან სწავლობენ ცხოვრების ყოველი დღის, თავიანთი გულის ყოველი ფეთქვით ემსახურონ პარტიის საქმეს, ხალხის საქმეს, იმუშაონ ლენინურად, კომუნისტურად. ლენინური კომკავშირისათვის თქვენ, ლეონიდ ილიას ძეგ, — ბრძენი და მშრომელი დამრიგებელი ხართ. თქვენი, კომუნისტთა ლენინური გვარდიის მაგალითით ცხოვრობდა, ცხოვრობს და იცხოვრებს საბჭოთა ახალგაზრდობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

საყვარელ სამშობლოს, მშობლიურ პარტიას, თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეგ, ჩვენი კომკავშირული სიტყვა:

თავდადებით განვახორციელებთ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, კიდევ უფრო გულმოდგინედ ავაზრდით ახალგაზრდობას კომუნისტური იდეურობისა, მაღალი ზნეობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის სულისკვეთებით! **(ხანგრძლივი ტაში).**

ყველაფერში და ყოველთვის დავიცავთ ლენინის ანდერძს, მტკიცედ გვეპყრობა ხელთ ოქტომბრის წითელი დროშა. ვიქნებით სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილები, შრომით განვამტკიცებთ და დავამშვენებთ სამშობლოს და, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლის დაუზოგავად დავიცავთ მას. ვფიცავთ!

ქალიშვილები და ჭაბუკები, პიონერები და ოქტომბრელები ერთხმად გაიძახიან:

ვფიცავთ! ვფიცავთ! ვფიცავთ!
ხაბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — დიდება! დიდება! დიდება!

კრემლის ყრილობათა სასახლის თაღებქვეშ გაისმის ხანგრძლივი ტაში, შეძახილები პარტიის, ჩვენი დიადი სამშობლოს, ლენინური კომკავშირის სადიდებლად. დელეგატები და სტუმრები ფიჭბე ამდგარნი მიესალმებიან კომუნიზმის მშენებელთა ახალგაზრდა ცვლის წარმომადგენლებს. (საკდესი).

(დასასრული მე-4 გვ.).

ლენინისა და პარტიის საქმის ერთგული ვართ!

საბჭოთა ახალგაზრდობისა და პიონერების მისალმება ყრილობისადმი

ოთელი დროშებით, ალისფერი პიონერული ყელსახვევებით და მიხაკებით დამშვენებული 27 თებერვლის საღამოს ...ულის ყრილობათა სასახლის დარბაზი. სკკპ XXVI ყრილობის დელეგატებისა და სტუმრების ...ასალმებლად აქ მოვიდნენ საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

საზეიმო მარშის ჰანგებზე დარბაზში შემოდიან ქალიშვილებისა და ჭაბუკების კოლონები — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ...ალგაზრდა მშრომელები, მეცნიერები და სპეციალისტები, შემოქმედებითი ახალგაზრდობის წარმომადგენლები, სტუდენტები, უფროსკლასელები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები, სპორტსმენები, პიონერები. ...ბარე ტაშით ხვდებიან დელეგატები ...ომკავშირული საქმეების ...ულად საკავშირო ესტაფეტის „ეკეთე ხუთწლედს — დამკვ...ელური ფინიში! სკკპ XXVI ...ილობას — ღირსეული შეხვე...ა! — გამარჯვებულს.

შემოაქვთ ლენინური კომკავშირი, სრულიად საკავშირო ვ. ი. ...ენინის სახელობის პიონერული ...ორგანიზაციის დროშები, რკკ(ბ) ...ენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენ...ალური კომიტეტის სამახსოვრო ...როშები: დედაქალაქისა და მოსკ...ვის ოლქის კომკავშირული ორ...ანიზაციების დროშები. სცენაზე ...ია მებუკეები და მედიდფიფ...ი.

...ქვეყნის ახალგაზრდობა მიესალ...ება პარტიული ფორუმის დელეგ...ებს, უპატაკებს სკკპ XXV ყრ...ობის გადაწყვეტილებათა შესრუ...ებაში მონაწილეობის, შრომასა ...ა სწავლაში მიღწეული წარმატ...ების შესახებ:

— დიდი პატივი და უსაზღვრო ...ოხისმგებლობაა მოვახსენოთ ...ობლიური კომუნისტური პარტ...ა XXVI ყრილობას საბჭოთა ახ...ალგაზრდობის საქმეები და წარმა...ებები. საბჭოეთის ახალგაზრდობა ...ბარს უსწორებს კომუნისტებს და განაგრძობს უფროს თაობათა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი გმირობის ესტაფეტს, გულდაჯერებით მდის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გენიით დასახული გზით.

პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგული, 40 მილიონიანი ლენინური კომკავშირი ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, პიონერებსა და მოსწავლეებს უნერგავს ცოდნიადმი სწრაფვას, კომუნისტურ სიმტკიცეს, აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას, მზადყოფნას, ნებისყოფას და უნარს აშენონ კომუნიზმი, დაიცვან ოქტომბრის დიადი მონაპოვრები.

როცა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს ასრულებდნენ, კომკავშირელები, ახალგაზრდობა მთელ ძალ-ღონეს, ენთუზიაზმსა და შემოქმედებას ახმარდნენ ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლას, დამკვრელურ მშენებლობას, პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

გარჯას — ხალისით,
წინსწრაფვით აღსავსე,
ჩვენ ფრთას რომ გვასხამს, იმ
ნათელ ოცნებებს,
პარტიის ფორუმო, ამ ხაზეიმო
დღეს
ახალგაზრდობა შენ გიპატაკებს.
(ტაში).

გამოდის „ურენგოიგაზმრეწვმშენის“ ტრესტის ბრიგადირი, სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის სახელობის საკავშირო დამკვრელური კომავშრომული რაზმის მეთაური, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი **პავლე ბარიაევი:**

— მე — პავლე ბარიაევს, ურენკოელ ბრიგადირს, მუშათა კლასის ახალგაზრდა ცვლის მწყობრის რიგით წევრს, გამომიცხადეს უდიდესი ნდობა ვიყო მეათე ხუთწლედის მშენებლობებზე კომკავშირული საგზურით ჩამოსული 500 ათასი მოხალისიდან ერთ-ერთი.

180 სრულიად საკავშირო დამკვრელურ მშენებლობაზე, საამქროებსა და სანგრევებში, ჭაბურილებზე და ელექტროსადგურების პულტებთან ჩემი თანატოლების შრომით იწერებოდა კომუნისტების ფორუმისადმი კომკავშირული პატაკის სტრიქონები. ლენინური კომკავშირის სული და გული ამუშა ახალგაზრდობა, რომელიც ერთგულია სტახანოველთა, ხუთწლედების დამკვრელთა ტრადიციებისა, კვლავაც ბეჯითად დაეუფლება გამარჯვების პროლეტარულ მეცნიერებას. **(ტაში).**

ტრიბუნაზეა ყაზახეთის საბჭოთა მეურნეობა „ეგინდიკულსკის“ მექანიზატორი ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **დინა ბაუბეკოვა.**

— სოციალიზმის დიად მონაპოვართა მეოხებით მე, დინა ბაუბეკოვამ, ყაზახმა ქალიშვილმა, შეძელი განათლების მიღება, საყვარელი პროფესიის დაუფლება, გავხდი სახალხო დეპუტატი. ჩემი თანამოსაქმე ამხანაგები — ჩვენი ქვეყნის 10 მილიონი ახალგაზრდა მიწათმოქმედი და მეცხოველეე—მონდომებით შრომებენ მინდვრებსა და ფერმებში. და ჩვენ ყაზახეთის ყამირის შვილებმა ჩვენს მამებს არ ვუფალატეთ! თქვენგან, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეგ, ჩვენ ვსწავლობთ მშობლიური მიწის სიყვარულს, იმის უნარს, რომ ვიყოთ მისი მზრუნველი, ყაირათიანი და კეთილი პატრონები.

პარტიას, ხალხს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ — საბჭოთა სოფლის მომავალი საიმედო ხელშია! **(ხანგრძლივი ტაში).**

სიტყვა ეძლევა როსტოვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს, XXII ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონს **ლუდმილა კონდრატიევას:**

— საბჭოთა სტუდენტებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სწავლა მთავარი შრომაა. ჩვენ ვისწრაფვით გავხდეთ ნამდვილი სპეციალისტები, და ხალხს უკვე დღეს გამოვადგეთ. სტუდენტური რაზმების შრომითი წვლილი მეათე ხუთწლედის ობიექტებზე — შვიდ მილიარდ მანეთს აღემატება.

პარტიამ და ხალხმა მოგვანიჭა უფლება ვისწავლოთ, განვითვითაროთ უნარი და ნიჭი, მივაყვეთ სპორტს, მჩქეფარე და სიხარულით აღსავსე ცხოვრებით ვიცხოვროთ.

მოსკოვის ოლიმპიადის დაუვიწყარ დღეებში, როდესაც დიდებულად ქერქდა სამშობლოს ჰიმნი, ფრიალებდა სამშობლოს დროშა, ჩვენ, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, ყველა საბჭოთა სპორტსმენმა, განსაკუთრებული ძალით შევგრძენით სიამაყე და პასუხისმგებლობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქის მაღალი წოდებისათვის! **(ტაში).**

ლაპარაკობს სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტ

პარტიისა და ხალხის დიადი ერთიანობა

სსრ კავშირის ხალხთა მაღალი ხელოვნება

კონცერტი კრემლის ყრილობათა სასახლეში

(დასასრული).

„დიადი ერთობის ნათელი გადიდას“ — ასე დაარქვეს თავიანთ კომპოზიციას უკრაინის წარმოგზავნილებმა. კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებმა მ. სტეფიუკმა და ა. სოლოვიანენკომ, გ. ვეროიოვას სახელობის ხალხურმა გუნდმა, პ. ვირსკის სახელობის ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა, იმიერკარპატეთის ხალხურმა გუნდმა თავიანთი ხელოვნებით განადიდეს საბჭოთა ხალხების მეგობრობა და ძმობა.

გმირული შრომის, ვაჟკაცობის, მოქალაქეობრივი მოვალეობის განსახიერება გახდა ყამირი. მის მშრომელებს, მხვნელ-მთესველებს, მთელი ქვეყნის წარგზავნილებს მიუძღვნეს „სიმღერა ყამირზე“ მსახიობმა ე. სერკებაევმა, ყაზახეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, ახალგაზრდულმა საესტრადო ანსამბლმა „გულდერმა“, ქოროეოგრაფიული სასწავლებლის აღსაზრდელებმა.

შთაგონებული შრომის სიხარული არის აღსავსე სიუიტა „ამბავი ურალისა“. იგი დედაქალაქში ჩამოიტანა სვერდლოვსკის პროფტექნიკური განათლების კულტურისა და სპორტის სასახლის ხალხური ცეკვის ანსამბლმა, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალების ლაურეატმა.

ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობის აბსოლუტურ ჩემპიონს სპორტულ ტანვარჯიშში ა. დიტიატინსა და იმათ, რომლებიც საბჭოთა ოლიმპიელების სახელოვანი მემკვიდრეები არიან — საბავშვო სპორტული სკოლის აღსაზრდელებს.

„ბედნიერების გზით“, „სიხარული“, „ზეიმობა“ — საკონცერტო ნომრების თვით ეს სახელწოდებები ხაზს უსვამს საბჭოთა ადამიანების ოპტიმიზმს, რომლებსაც შეუძლიათ დამკვრელურად იმუშაონ და მხიარულად დაისვენონ.

კალეიდოსკოპურად იცვლება კრემლის სცენაზე ფერთა გამა. ნარნარ ლიტვურ ფერხულს, პოპულარულ „ლატვუულ“ ლატვის პიონერთა სასახლის ნორჩ მსახიობთა შესრულებით, ცვლის აზერბაიჯანის ქოროეოგრაფიული კოლექტივის ეროვნული ცეკვა.

ხალხური შემოქმედების წყაროდან იშვა სიტყვები და ბგერები სიუიტისა „ბელორუსია, სიმღერავ ჩემო“, რომლითაც მაყურებელი მოაჯადოვეს ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო გუნდმა, ცეკვის ანსამბლმა და სხვა კოლექტივებმა. შთაგონებით შეაღერა „საზეიმო ცეკვა“ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელგანთქმული ანსამბლმა.

უზბეკ მეგამბეებთან სტუმრად მიიწვიეს მაყურებელი ანსამბლებმა „ბახორმა“ და „შოდლიკმა“, რესპუბლიკის ფილარმონიის საგუნდო კაპელამ, ტაშკენტის ქოროეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებმა. შემდეგ გამოვიდა თურქმენეთის ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი. შოა აზიის რესპუბლიკებში მოგზაურობა გაანგრძეს ყირგიზმა მომღერალმა ბ. მინჟილკიევმა და მეკომუზეთა ნაკრებმა ანსამბლმა, ტაჯიკეთის კოლექტივმა „ლოლამ“, ს. აინის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობებმა, ლენინაბადელმა და კულიაბელმა მუსიკოსებმა.

მოლდავური სოფლის დღესასწაულის სურათები მგზნებარე „სიბრძნეთა“ და ცეკხლოვანი „მოლდოვენიასკოთი“ წარმოსახა სცენაზე ხალხური მუსიკის ორკესტრმა „ფლუერაშმა“. ერთმანეთს ეჯიბრებიან, ოსტატობაში ტოლს არ უდებენ ლატვიის „დაილე“, სომხეთისა და ესტონეთის მსახიობები.

დიდი წარმატებით გამოვიდნენ კონცერტზე ა. კაალი, ლ. ჭყონია, მ. მაგომაევი, ე. ნესტერენკო.

მხურვალედ ესალმებიან ყირიმის დელეგატები და სტუმრები მსახიობ მეომრებს — საბჭოთა არმიის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებისა და ნაკრები სასულე ორკესტრის გაერთიანებულ კოლექტივს, რომელსაც ხელმძღვანელობს ვ. ალექსანდროვი.

სსრ კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენაზე ერთს სიმღერები, მაგრამ ყოველი მათგანი გამსჭვალულია ძმური მეგობრობისა და დიდი სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობით.

კონცერტი მთავრდება. ეკრანზეა სახელოვანი მეათე ხუთწლედის, სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის ამსახველი კინოქრონიკის კადრები. „პარტია წინ მიგვიძღვის! — გაისმის ყრილობათა სასახლის თაღებქვეშ ა. პახმუტოვისა და ნ. დობრონრავოვის სიმღერა ა. ვოროშილოსა და კონცერტის ყველა მონაწილის შესრულებით. გაისმის შეძახილები კომუნისტური პარტიის სადიდებლად, რომელიც მიუძღვის ჩვენს ხალხს სანუკვარი მიზნის — კომუნიზმისაკენ.

საზეიმო კონცერტის წარმატება გაიზიარეს მთავარმა რეჟისორმა და სცენარის ავტორმა ი. მოისეევმა, მთავარმა დირიჟორმა ა. ლაზარევმა, მთავარმა მხატვარმა ვ. ლევენტალმა, მთავარმა ლოტბარმა ა. რიბნოვმა. (საკდესი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. დ. დ. **მაღალაშვილი** დანიშნა საქართველოს სსრ ხილოსტნეულის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ და გაათავისუფლა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის მოვალეობისაგან.

27 თებერვლის დილის სხდომა

მრავალი წლისათვის აღმშენებლობის სახალხო-სამეურნეო პროგრამა გახდება კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის დოკუმენტები. პარტიის საპატიო ტრიბუნიდან გამოსულ დელეგატთა საერთო აღიარებით ყრილობა ახალი მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ჩვენი დიადი მიზნის — კომუნიზმის გზაზე.

დილის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ბ. ბ. გრიშინი**, დელეგატები შეუდგნენ ყრილობის დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას.

სიტყვა მოხსენებისათვის „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ნ. ა. ტიხონოვს**, რომელსაც ყრილობის დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

ამხ. ნ. ა. ტიხონოვის მოხსენება **დამსწრეთ** დიდი ყურადღებით მოისმინეს. მოხსენების დროს ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

შემდეგ დაიწყო მოხსენების განხილვა. კამათი გახსნა სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. ი. კონოტოპმა.**

მარტო მოსკოვის ოლქში, თქვა მან, ძირითად მიმართულებათა პროექტის განხილვაში მონაწილეობდა დაახლოებით ორ მილიონ-ნახევარი კაცი, შემოტანილია ბევრი შინაარსიანი წინადადება და შენიშვნა. ყოველივე ეს მოწმობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებით, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ფართო დემოკრატიზმით, სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობით საბჭოთა ადამიანების უდიდეს დაინტერესებას, პარტიისა და ხალხის ინტერესების ურღვევ ერთიანობას.

ორატორმა ყურადღება მიაქცია ერთ-ერთ ასეთ წინადადებას, და ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვის ოლქის სწორი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და უნიკალური ბუნების დაცვისათვის, რაც საჭიროა დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის თითქმის 15 მილიონი მოსახლეობის ნორმალური შრომის, დასვენებისა და ჯანმრთელობისათვის, მიზანშეწონილია ცენტრალურმა ორგანოებმა შეიმუშაონ ოლქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამა და გაითვალისწინონ საწარმოო შენებლობის მკვეთრი შემცირება, ბუნების შენახჩენება, ამ ზონის სრული უზრუნველყოფა ყველა საჭირო საინჟინრო კომუნიკაციით.

ილაპარაკა რა სოფლის მეურნეობაში და ეკონომიკაში ოლქის მშრომელთა წარმატებების შესახებ, ორატორმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არის ხარვეზები, გამოუყენებელი რეზერვები. ერთ-ერთი მთავანია საზოგადოებრივი სექტორის, პირადი დამხმარე მეურნეობების შემდგომი განვითარება. ოლქის ეკონომიკის უფრო ინტენსიურ განვითარებას. ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ საწყისებზე პარტიის საოლქო კომიტეტის ინიციატივით შექმნილი მექანიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცების საკოორდინაციო საბჭო.

შემდეგ დელეგატმა თქვა, რომ მეათეთრმეტე ხუთწლედში მოსკოვის ოლქის შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით უზრუნველყონ სამრეწველო წარმოების მოცულობის მეელი მატება, სოფლის მეურნეობაში კი მნიშვნელოვნად აამაღლონ ერთი მომუშავის გამომუშავება.

ტრიბუნაზეა სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ლ. ა. გორშკოვი.** ჩვენი პატიული ყრილობის გრანდიოზული გეგმების ცხოველმყოფლობა, ეკონომიკის განვითარების ნიმანზეზი, განაცხადა მან, კარგად ჩანს კემეროვოს ოლქის მაგალითით, სადაც პარტიის ნებით მოკლე ვადაში შეიქმნა ქვანახშირის მოპოვების, ლითონისა და ქიმიური პროდუქციის წარმოების უდიდესი ინდუსტრიული ცენტრი. ვითარდება სოფლის მეურნეობაც. მატულობს კარტოფილის, ბოსტნეულის, პირუტყვისა და ფრინველის, რძისა და კვერცხის შესყიდვა.

განუხრელად უმჯობესდება კუზბასელთა ცხოვრება. გასულ ხუთწლეულში აშენდა 5,6 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამაღლდა რაიონული კოეფიციენტი და დანამატი მუშაკთა ნამსახურობისათვის. დამატებითი შეღავათები დაუწესდათ მთელი რიგი სხვა კატეგორიების მუშაკებს.

ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ ოლქის კომუნისტებმა, ყველა მშრომელი უდიდესი ენთუზიაზმითა და ენერგიით მუშაობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად, რომელშიც განხილული იყო სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა ოლქის საწარმოებსა და მშენებლობებზე თბოენერგეტიკული რესურსების დაზოგვისათვის.

ყველგან გაშლილი მოძრაობა მომეზრნეობისათვის, თქვა მან, მარტო მატერიალური მაჩვენებლებით როდი გამოიხატება. იგი სულ უფრო საგრძნობ გავლენას ახდენს ადამიანთა მაღალი ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაზე, იმაზე, რომ მათ ჩაუნერგოს თავისი სახელმწიფოს ბატონ-პატრონის გრძნობა.

შეეხო რა გადაუჭრელ ამოცანებს, ნაკლოვანებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, დელეგატმა აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის ჯეროვნად მომთხოვნელობით როდი უდგებიან კადრების საქმიანობის შეფასებას. ყველგან საჭირო დონეზე როდია საშემსრულებლო დისციპლინა. ეკონომიკის განვითარების მთელი რიგი მიმართულებებით ვერ მოვახერხეთ გავცდომოდით ხუთწლედის მიჯნებს. რამდენადმე შენელდა მრეწველობის წამყვანი დარგების განვითარების ტემპი.

თბოენერგეტიკულ რესურსებზე ქვეყნის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება, ხაზი გაუსვა ორატორმა, დაბეჯითებით მოითხოვს საგეგმო ორგანოებისა და შესაბამისი სამინისტროებისაგან უფრო მეტ ყურადღებას კუზბასისადმი, რომლის წიაღშია 30 მეტრი და უფრო მეტი სიმძლავრის ქვანახშირის ფენები, რომელთა დამუშავება შეიძლება ღია წესით.

მეათე ხუთწლედის მანძილზე, აღნიშნა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ა. პ. ლიაშკომ,** საბჭოთა ხალხების ძმურ კავშირში რესპუბლიკამ ახალ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც ყრილობას მოახსენა ნ. ა. ტიხონოვმა, თქვა ორატორმა, სახალხო მეურნეობას აძლევს გეზს ყოველნაირად აამაღლოს წარმოების ეფექტიანობა, მტკიცედ შემოაბრუნოს ინტენსიური ფაქტორებისაკენ ეკონომიკის ყველა დარგის განვითარება.

დელეგატი შეეხო ამოცანებს, რომელიც დგას რესპუბლიკის ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის მშრომელთა წინაშე. ნელა მიმდინარეობს მეტალურგიაში ძირითადი საწარმოო ფონდების განახლება. მოძველებული, დაკვეთილი მოწყობილობის ექსპლოატაცია შრომის ნაყოფიერების დანაკარგების გარდა მოითხოვს რემონტისათვის ხარჯების გადიდებას. ამიტომ ორატორის აზრით, გეგმების შეწონასწორება საწარმოების ნედლეულთა და მასალებით უზრუნველყოფასთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს ძირითადი საწარმოო ფონდების გეგმაზომიერ განახლებას. კაპიტალური დაბანდებებისა და სხვა რესურსების განაწილებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ პრობლემების გადაწყვეტის პრიორიტეტულობით.

წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავების პროცესში უთუოდ ფართოვდება კოოპერირებული ურთიერთობა. ამიტომ რთული ტექნოლოგიური მოწყობილობის დამზადებისას, როცა მის წარმოებაში ქვეყნის ბევრი ქარხანაა ჩაბმული, უნდა განისაზღვროს მეთაური საწარმო, იგი პასუხს აგებს საბოლოო პროდუქციის კომპლექტურობისათვის, ხარისხისათვის, მიწოდებისა და მიღების ვადებისათვის.

ილაპარაკა რა მიჯნებზე, რომლებსაც სოფლის მეურნეობის მშრომელებმა უნდა მიაღწიონ, დელეგატმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში ინდუსტრიულ ტექნოლოგიაზე გადავიდეს სიმინდის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირისა და სხვა კულტურების მოვლა-მოყვანა. ამასთან მანქანების სპეციალური კომპლექსის, მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებათა ნაკლებობა აფერხებს მის ფართო დანერგვას.

სახალხო მეურნეობის გადაასვლა განვითარების ინტენსიურ გზაზე ფუძემდებელი თეზისია, რომელიც ეფექტიანობისა და ხარისხის უზრუნველყოფის თეზისთან ერთად განსაზღვრავს პარტიის ხაზს ხუთწლეულისა და მთლიანად ოთხმოცდაერთ წლებში ეკონომიკის დარგში, თქვა საავტომობილო მრეწველობის მინისტრმა ამხ. **ვ. ნ. პოლიაკოვმა.** დელეგატი დაწვრილებით შეეხო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პრობლემებს.

ოთხმოცდაერთ წლების მანქანათმშენებლობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიზანი იქნება დარგის შემდგომი კომპლექსური განახლება, ისეთი ხარვეზების დაძლევა, როგორიცაა ზოგიერთი გამოშვებული მანქანებისა და მოწყობილობის ჯერ კიდევ შედარებით დიდი ლითონტევადობა და ენერგოტევადობა, მათი ტექნიკური დონის თანდათანობით ამაღლება.

ეკონომიკის განვითარების დარგში პარტიის უდიდესი გარდამქმნელი ძალა ნათლად ჩანს საავტომობილო მრეწველობის მაგალითზე, თქვა შემდეგ ორატორმა. ბოლო ორი ხუთწლედის მანძილზე დარგი ჭეშმარიტად ხელმეორედ იშვა. შეიქმნა ახალი უნიკალური ვოლგისა და კამის საავტომობილო კომპლექსები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოველმხრივი დახმარების, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მუდმივი ყურადღების მეოხებით ამ შენებლობებზე თავმოყრილია დიდი რესურსები, მიღწეულია დიდი შრომითი აღმავლობა. დელეგატმა ყრილობას აცნობა, რომ სკკპ XXVI ყრილობის წინ ჩაბარებული კამის საავტომობილო ქარხნის პირველი რიგის სიმძლავრეები მთლიანად ათვისებულია. შესრულებულია XXVI ყრილობის ალსანიშნავი სოციალისტური ვალდებულებანი — 12 თებერვალს საექსპლოატაციოდ გადაეცა კამის საავტომობილო ქარხნის მეორე რიგიც.

ახალი ქარხნების მშენებლობასთან ერთად ბოლო წლებში საავტომობილო მრეწველობაში მოქმედი საწარმოების ძირეული რეკონსტრუქცია განხორციელდა.

მინისტრი შემდეგ შეჩერდა რეზერვებზე, რომლებიც სახავს სადიზელო ავტომბარბელების დანერგვის კურსს. ეს რეზერვები, თქვა მან, უფრო სრულად უნდა გაითვალისწინონ საგეგმო ორგანოებმა. ოპერატიულად უნდა გადაწყდეს ავტომობილებში ბენზინის, ნაცვლად შეკუმშული აირის ფართო გამოყენების საკითხიც. დიდ ყურადღებას მოითხოვს ავტორემონტის სისტემა.

დელეგატმა განაცხადა, რომ ავტომობილმშენებლები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მთლიანად და სავსებით იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ საქმიანობას, ერთსულოვნად უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებს“.

ჩილეს კომპარტიის გენერალურ მდივანს ამხ. **ლ. კორვალანს** ყრილობის დელეგატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. ახლა, როცა დავიწყეთ 80-იანი წლები და იწურება XX საუკუნე, თქვა მან, მთლიანად საამედო პერსპექტივები გვესახება. ეს შესანიშნავი ყრილობა გვიჩვენებს, რომ არსებობს ძალები, რომლებსაც შესწევთ უნარი სიცოცხლეს სიკვდილზე გაამარჯვებინონ, შესწევთ უნარი იმისა, რომ ხალხებმა უკეთესი მერმისისაკენ გაიკაკალონ გზა და ადამიანმა გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი მრავალმხრივი და რთული პრობლემები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას ახასიათებს პასუხისმგებლობით, ნათლად და კონსტრუქციულად მიდგომა. ეს შშვიდობისა და პროგრესის პროგრამაა. საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება, სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცება, განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება, ხალხთა შორის პატივისცემისა და მეგობრული ურთიერთობის მიღწევა — ასეთია მისი გულში ჩამწვდომი დიდი აღმშენებლობითი მიზნები.

გისურვებთ სრულ წარმატებას ასეთი კეთილშობილური ამოცანების განხორციელებაში. ღრმა მეგობრობის გრძნობით გულითად სალამს გადმოგცემთ ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ყველა ჩვენი კომუნისტის, განსაკუთრებით იმათი სახელით, ვინც გმირულად იბრძვის შშობლიურ მიწაზე.

შეერთებული შტატების მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღება, თქვა შემდეგ ორატორმა, საოცარ მასშტაბს იძენს რეიგანის დროს. ამასთან იზრდება ამერიკელ იმპერიალისტთა ჩარეგა ყველგან, სადაც მათი ზრახვების მიხედვით, ყოველგვარი საშუალების გამოყენებით უნდა მოიპოვონ ან შეინარჩუნონ რომელიღაც პოზიცია. ისინი უფრო მეტად უჭერენ მხარს დესპოტურ რეჟიმებს და აწყობენ ეგრეთ წოდებულ კამპანიას ტერორიზმის წინააღმდეგ, ამაოდ ცდილობენ დანაშაულად მონათლონ ხალხთა კანონიერი ბრძოლა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარებისათვის.

ჩილეში იწყება ახალი ეტაპი, განაგრძო ორატორმა, იმ დროს, როცა ტირანი ეპოტინება ხელისუფლებას და ჯიუტად სურს თავისი გეგმების განხორციელება, სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც უწინ მხარს უჭერდნენ მას, რეჟიმისადმი კრიტიკული დამოკიდებულების პოზიციას იკავებენ, იზრდება მის მოწინააღმდეგეთა ბანაკი და სულ უფრო მეტრმლოური ხდება ხალხის საპასუხო მოქმედება. ჩვენ გვწამს, თქვა დასასრულ ამხ. ლ. კორვალანმა, რომ კვლავაც ჩილელი ხალხის მხარეზე იქნება მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების სონიდარობა. ეს სოლიდარობა განსაკუთრებით დასჭირდება მას კიდევ უფრო მძიმე დღეებში, რომლებსაც გამარჯვების წინ, უსაღოეს მომავალში ველით. იმიტომ, რომ გამარჯვება უეჭველად მოვა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტთა სახელით გულითადი, ძმური, ინტერნაციონალური სამბრძოლო სალამი გადასცა ყრილობის დელეგატებს გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ამხ. **ჰ. მისმა,** რომელსაც მჭეხარე ტაშით შეხვდნენ. ჩვენი სალამი, თქვა მან,— გამოხატავს ჩვენს ინტერნაციონალიზმს, ვინაიდან ყველა ქვეყნის კომუნისტთა ინტერნაციონალური ერთიანობა ერთმანეთთან და კაცობრიობის ისტორიაში პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსთან — ეს ის პრინციპეშია, რომლისადმი ერთგულებას ყოველთვის ვიცავდით, ვიცავთ და დავიცავთ.

სკკპ XXVI ყრილობა წინსვლის გზას გვიჩვენებს, როგორც თქვენ, ისე ჩვენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტებს, იგი 80-იანი წლების სწორი კურსის კომპასია. ეს ყრილობა კომპასია არა მარტო ჩვენთვის, კომუნისტებისთვის, არამედ ყველა კეთილი ნების ადამიანისათვის, ყველასთვის, ვინც შშობ ფიერობს შეიარაღების ავანტიურისტული პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ახორციელებს ამერიკის იმპერიალიზმი და დასავლეთ გერმანული სამხედრო-სამრეწველო მაფია.

ჩვენ განსაკუთრებით მივესალმებით წინადადებებს, რომლებიც ამ პარტიულმა ყრილობამ წამოაყენა მწვავე ბრძოლის პირობებში, როცა საკითხი ეხება იმას, იქნება მშვიდობა თუ ომი, გამალებული შეიარაღება თუ განიარაღება. ისევ გვრჩება ვისურვოთ, რომ ისინი, ვინც ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების საკუთარ ხელში დგას, მიხვდნენ და მხარი დაუჭირონ სიგნალებს, რომლებიც თქვენმა პარტიულმა ყრილობამ მისცა და უპასუხონ მათ კონსტრუქციული სულისკვეთებით.

მადლობას გიხდით თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ყოველივე ამისათვის, რასაც ჩვენ და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს, ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს გვაძლევს თქვენი შთამბეჭდავი პარტიული ყრილობა. ჩვენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტები, კვლავ ვაცხადებთ: ჩვენთვის საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულება იყო და რჩება თითოეული კომუნისტის ინტერნაციონალიზმის კრიტერიუმად.

ჩვენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტები, არასოდეს დავივიწყებთ, რომ თქვენმა ქვეყანამ და მისმა კომუნისტებმა გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ჰიტლერული ფაშიზმის დამარცხებაში, თქვა შემდეგ ორატორმა.

ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ რომ თქვენი ქვეყნის ძლიერებს, მისი სამშვიდობო პოლიტიკის, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მისი კავშირის მეოხებით უკვე 35 წელზე მეტია მშვიდობის პირობებში ვცხოვრობთ. კიდევ ერთი რამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და ამას ჩვენ დღენიადაგ შევახსენებთ ყველას: თქვენს ქვეყანაში 50 წლის მანძილზე, ანუ 1930-იანი წლების დამდეგიდან არ ყოფილა არც ერთი უმუშევარი.

ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმასაც, რომ მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრების ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია პრინციპული პოზიციებიდან, შემოქმედებითად ილაშქრებს ყველა სახეობის ოპორტუნიზმის — როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ორატორმა დამსწრეთ აღუთქვა, რომ გერმანელთა კომუნისტური პარტიის სახით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თანმიმდევრული თანამებრძოლი ჰყავს.

თქვენი წარმატებები, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ამხ. ჰ. მისმა, — ჩვენი წარმატებებიც არის. სკკპ XXVI ყრილობა ძალას გვმატებს, ოპტიმიზმით აღგვავსებს და განმტკიცებს ჩვენში გამარჯვების რწმენას.

ყრილობაზე გამოვიდა იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი ამხ. **ალი ნასერ მუჰამედი,** რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. მან საბჭოთა მეგობრებს გაუზიარა იემენელი ხალხის სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობები.

თქვენი წარმატებები მძლავრ იმპულსს აძლევს ქვეყნად პროგრესის, მშვიდობისა და სოციალიზმის მომხრეთა ბრძოლას, თქვა ორატორმა. ეს წარმატებები სოციალიზმის ძალების უძლეველობის თვალსაჩინო მაგალითია, მსოფლიო რევოლუციური პროცესის წარმატებათა გადამწყვეტი ფაქტორია, ქვეყნად მშვიდობის მთავარი გარანტიაა.

ჩვენს ეპოქაში მსოფლიო რევოლუციური პროცესის წარმატებები განისაზღვრება მისი სამი ძირითადი ნაკადის მტკიცე საბრძოლო შეკავშირებით. მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა ავანგარდულ როლს ასრულებს თანამედროვეობის რევოლუციური ძალების კავშირში, მათი ერთიანობის განმტკიცებაში, უზრუნველყოფს რევოლუციური პროცესის შემდგომ განვითარებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ძლიერების წყარო, მისი შეკავშირების მტკიცე საფუძველია.

იემენის სოციალისტური პარტია ერთგულობს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან მის ურთიერთობას საბრძოლო სტრატეგიული ხასიათი აქვს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან ჩვენი კავშირი მუდამ იყო იემენის რევოლუციის განვითარების სამედო საფუძველი. იგი ხელს უწყობს ეროვნული სუვერენიტეტის დაცვას, დემოკრატიული იემენის სოციალური პრობლემების გადაჭრას. ჩვენი რევოლუცია საქმით დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ურყევად ერთგულობს ინტერნაციონალიზმის საქმეს.

დიდი ოქტომბრის პარტიასთან და ქვეყანასთან ჩვენი პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარება დაგვირგვინდა მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადებით. ეს ურთიერთობა ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური პროცესის განმტკიცება-განვითარების, აგრეთვე ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის გაძლიერების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მინდა დაგარწმუნოთ, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი კვლავაც განვავითაროთ ყოველმხრივი მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა ხალხთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან.

არაბეთის ნახევარკუნძულზე, სპარსეთის ყურისა და ინდოეთის ოკეანის ზონაში შექმნილ მდგომარეობას რომ შეეხო, ორატორმა აღნიშნა, რომ იმპერიალისტები მიმართავენ ამ რეგიონის ქვეყნებსა და ხალხებზე ზეგავლენის სხვადასხვა ფორმას. ისინი ყოველნაირად ცდილობენ მოსპონ პროგრესული რეჟიმები დემოკრატიულ იემენში, ეთიოპიასა და ავღანეთში.

ჩვენ დიდად ვაფასებთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ახალ ინიციატივას ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მოწესრიგების მიღწევის შესახებ. იგი კარგ საფუძველს უქმნის ამ რეგიონში მტკიცე მშვიდობის დამყარებას, რომლის დროსაც გარანტირებული იქნება არაბი ხალხების უფლებები, და უწინარეს ყოვლისა, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებები.

ამასწინანდელი საბჭოთა ინიციატივა, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა ინდოეთში ვიზიტის დროს, მიზნად ისახავს დაძაბულობის ფაქტორების ლიკვიდაციას, ამ აფეთქებასაშიშ რაიონში უშიშროებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას. იგი შეეხებოდა ჩვენი ხალხების საერსებო ინტერესებსა და მისწრაფებებს. დემოკრატიული იემენის ხალხი, პარტია და მთავრობა მხარს უჭერენ ამ ინიციატივას.

თავისი პარტიისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის სახელით ამხ. ალი ნასერ მუჰამედა განაცხადა, რომ მუდამ მხარში ედგებიან საბჭოთა ხალხს, სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, სიმტკიცისა და წინააღმდეგობის ეროვნულ ფრონტს, მშვიდობისა და დემოკრატიის მთელ ძალებს იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ამით დილის სხდომა დამთავრდა.

27 თებერვლის საღამოს სხდომა

სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ს. გორბაჩოვი.**

კალინინის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების დირექტორი ამხ. **ლ. ი. ტიხომიროვა** შეეხო ყრილობის დოკუმენტების დამრაზმველ მნიშვნელობას და დარბაზის ტაშის გრიალში განაცხადა, რომ დელეგატმა კალინინის პარტიული ორგანიზაციისაგან, სოციალისტური შრომის გმირმა მურგოლუერმა ევგენი იაკოვლევმა აქ, ყრილობაზე მიიღო გადაწყვეტილება გადავიდეს ჩამორჩენილ რგოლში, დაიწინაუროს იგი და ისევე როგორც წინათ, მიიღოს ჰექტარზე სულ ცოტა ტონა სელის ბოჭკო.

ორატორმა აღნიშნა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიის მეცადინეობაში უპირველეს მნიშვნელობას იძენს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება. ეს დიდ ამოცანებს უსახავს მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს.

დარგის შემდგომი განვითარების უდიდეს რეზერვებს შეიცავს სამეურნეო მექანიზმისა და წარმოების მართვის სრულყოფა. მეტრიკოტაჟემ ეს საკუთარი სწორმოს მაგალითით ც